პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 29 (1458) პარასკევი, 16 ივლისი 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე საერთაშორისო

ჩვენი გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტი გვატყობინებს: დაძაბული და საინტერესო ხდება მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალი. ყოველი დღე აღსავსეა ახალ-ახალი აღმოჩენებით. კონკურსის ჟიურიმ უკვე ნახა ფილმები: „აჰეთი ახალგაზრდა ქვეყანა" (ალჟირი), „ხელიხელ" (იაპონია), „ოცი საათი" (უნგრეთი) და „ქორწინების ნებართვა". მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჟიურიმ უკვე ნახა 7 ქვეყნის — ინდოეთის, სირიის, ავსტრალიის, იაპონიის, ჩილეს, ფინეთის და ჩეხოსლოვაკიის კინოპროდუქცია.

მოეწყო ფესტივალის სტუმართა და დელეგატთა შეხვედრა მოსკოველ კინომსახიობებთან. ისინი იყვნენ კინოსტუდია „მოსფილმში", სადაც სტუმრებს მიესალმნენ ცნობილი საბჭოთა მსახიობები და რეჟისორები.

განსაკუთრებით სასიამოვნო ცნობა, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა — საბერძნეთის კინოდელეგაციამ ფილმ „ჯარისკაცის მამის" დამდგმელ რეჟისორს აცნობა, რომ საბერძნეთმა შეისყიდა ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა" და რ. ჩხეიძე და ს. ზაქარიაძე მიიწვია საბერძნეთში ფილმის პრემიერაზე.

ფესტივალის მომდევნო დღეც არ იყო ნაკლებ საინტერესო. იგი პრეს-კონფერენციით დაიწყო, რომლის შემდეგაც ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში მოეწყო დისკუსია თემაზე „კინო და მაყურებელი". დისკუსიაში მონაწილეობდნენ კინოს ცნობილი ოსტატები, კინომცოდნეები, კრიტიკოსები, მსახიობები და რეჟისორები. მათ შორის: რეჟისორი გ. კოზინცევი (სსრკ), კრიტიკოსი მარსელ მარტენი (საფრანგეთი), რეჟისორები: ფერნანდო ბირი (არგენტინა), ეჟი გოფმანი (პოლონეთი) და სხვები. ეს მეტად საინტერესო საუბარი იყო კინოხელოვნების როლზე საზოგადოების ცხოვრებაში. დისკუსია მეორე დღესაც გაგრძელდა.

ჩვეულებისამებრ, 7 საათსა და 30 წუთზე ყრილობათა სასახლეში დაიწყო საკონკურსო ფილმების ჩვენება. ჟიურის წევრებმა ნახეს ფერადი ფილმი „ბიძია თომას ქოხი" (გფრ), „ყვავილების ბაზარი" (არგენტინა), „თავზევით ცაა" (საფრანგეთი), „მეგობრობა" (ინდოეთი) და „ვერნერ ჰოლტის თავგადასავალი" (გდრ). ეს უკვე მეთვრამეტე მხატვრული ფილმი იყო.

მოსკოვის ფესტივალის სტუმრებმა დაათვალიერეს კრემლი, კინოს ცენტრალურ სახლში კი მოეწყო საბჭოთა კოსმონავტების და ფესტივალის მონაწილეების შეხვედრა.

ფესტივალი გრძელდება.

ჩვენი იდეალი მშვიდობა და მეგობრობაა

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თბილისში რამდენიმე დღე სტუმრად იმყოფებოდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა დიდი ჯგუფი.

პარასკევს, 9 ივლისს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა დელეგაცია ეწვია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანას. აქ ისინი ესაუბრნენ ქარხნის დირექტორსა და მუშებს. შემდეგ ჩვენი სტუმრები ეწვივნენ თბილისის [illegible] კომბინატსა და ხელოვნების მუზეუმს.

იმავე საღამოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართა ქართველი მწერლების შეხვედრა აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა დელეგაციასთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორმა ი. ნონეშვილმა. მან ქართველ მწერლებს წარუდგინა დელეგაციის წევრები.

სიტყვას ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი. ბ. ჟღენტმა ილაპარაკა მოსკოვში ამას წინათ მოთხრობის საკითხებზე გამართულ სიმპოზიუმზე, რომლის მუშაობაშიც ჩვენი სტუმრები მონაწილეობდნენ. შემდეგ ბ. ჟღენტი შეეხო ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში მწერლობის როლზე.

ტრიბუნაზეა ახალგაზრდა სუდანელი მწერალი ალ ვალიდ იბრაჰიმი.

— მე მოხარული ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი. სწორედ აქ, თბილისში შემისრულდა 26 წელი. სწორედ აქ, თბილისში მე ვნახე ლამაზი, პოეტური ქვეყანა, ვნახე კეთილი და ბედნიერი ხალხი, გავიცანი კარგი ადამიანები. ეს კი ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

ცნობილი თურქი პოეტი და პროზაიკოსი ნევზათ უსთიუნი ამბობს:

— ერთმა ქართველმა მწერალმა მკითხა თუ ვინ ვარ მე, რა იდეალებს ვემსახურები. მე ვუპასუხე, რომ ვარ მწერალი და ჩემი იდეალია ისეთი საზოგადოებისაკენ სწრაფვა, რომელშიც არ იქნება ჩაგრული ადამიანი, სადაც ყველა იცხოვრებს ბედნიერად და თავისუფლად. ამ მხრივ საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას ბევრი საყურადღებო რამ ვნახე. საქართველომ აღტაცებაში მომიყვანა. მართალია, გეოგრაფიულად საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს მსოფლიოს კულტურისა და მეცნიერული აზრის წინსვლის საქმეში მის როლს. მე ზოგიერთი რამ გამიგია ამ ქვეყანაზე, მაგრამ ის, რაც ახლა ვნახე, აღმაფრთოვანებელია.

ტრიბუნაზეა ინდოელი მწერალი პრემოტამ შივარა რეჯი.

— მოსკოვის, აზიისა და აფრიკის მწერალთა სიმპოზიუმზე, რომელიც მოთხრობის საკითხებს მიეძღვნა, ლაპარაკობდნენ მწერლისა და საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულებაზე. მე, როგორც მწერალი და მოქალაქე, იმ აზრისა ვარ, რომ მწერალმა უნდა აკეთოს იმ საზოგადოების საქმე, რომელშიც ცხოვრობს. ასე იქცეოდნენ ჩვენი წინაპარი მწერლები, ასევე იქცეოდნენ დიდი ქართველი მწერლები, რომლებზედაც ჩვენ ბევრი რამ ვიცით — ინდოეთსა და საქართველოს შორის ადრეული საუკუნეებიდანვე დიდი ურთიერთობა ყოფილა.

მაროკოელი მწერალი და ფილოსოფოსი მუჰამედ აზიზ ლაჰბაბი ამბობს:

— როცა ადამიანებს ხანგრძლივი ურთიერთობა აქვთ, ისინი მეგობრებიც არიან და ნათესავებიც. ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ჩვენი ლიტერატურა — მხატვრული სიტყვაა, რომელსაც ვემსახურებით. ჩვენ გვაქვს ერთი რწმენა — ჩვენი რელიგია ჰუმანიზმია და ჩემი სამშობლოც იქ არის, სადაც ჰუმანიზმს დაუდევს ბინა. სწორედ ჰუმანიზმის კულტმა შეგვყარა აქ. ამ ლამაზ ქვეყანაში მრავალი საუკუნის წინ არაბ დამპყრობელთა ლაშქარში მყოფი ჩემი თანამემამულე ახლა კი მოყვარედ გაიხადეს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ფილიპინელი კრიტიკოსი კრუსი, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი განელი პოეტი ჯონ ოკაი და მალელი გაისუ დიავარა. ქართველ პოეტებს ისინი თავიანთ ლექსებს უკითხავენ.

სტუმრების თხოვნით „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთ თავს კითხულობს ახალგაზრდა მთარგმნელი ქალი თამარ ერისთავი.

ო. ჩხეიძემ წაიკითხა მაროკოელი პოეტის მუჰამედ აზიზ ლაჰბაბის ლექსი, ხოლო ა. აბშილავამ თურქი სტუმრის — ნევზათ უსთიუნის ლექსის ქართული თარგმანი.

ნევზათ უსთიუნის მეუღლე, ცნობილი თურქი მსახიობი ქალი მეჰრან ბალუმი მომხიბლავად კითხულობს ერთ-ერთი მოთხრობის ნაწყვეტს.

სტუმრებს თავიანთ ლექსები წაუკითხეს ი. ნონეშვილმა და ლ. სულაბერიძემ.

შაბათს, 10 ივლისს, აზიისა და აფრიკის მწერალთა დელეგაციის წევრები კახეთისაკენ გაემგზავრნენ. აქ მათ გულთბილი შეხვედრები ჰქონდათ სოფლის მშრომელებთან და წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეებთან.

11 ივლისს სტუმრები თბილისიდან ტაშკენტს გაემგზავრნენ.

ფერწერის შედევრები მოსკოვში

ივლისის ბოლო დღეებში მოსკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნება საინტერესო გამოფენა. ამ გამოფენაზე დამთვალიერებლები გაეცნობიან სახელგანთქმული ლუვრის და საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა მუზეუმებიდან წამოღებულ 52 ტილოს. ეს ძვირფასი ტილოები უკვე ჩამოიტანეს მოსკოვში გამოფენისათვის.

გ. ტოვსტონოგოვი თბილისში

ჩვენს დედაქალაქში რამდენიმე დღე სტუმრად იმყოფებოდა სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, ლენინგრადის მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი.

12 ივლისს ხელოვნების მუშაკთა სახლში შეიკრიბნენ თბილისის თეატრების რეჟისორები, მსახიობები, დრამატურგები და მხატვრები. გ. ტოვსტონოგოვი შეკრებილთ ესაუბრა თანამედროვე თეატრალური ხელოვნების ამოცანებზე, თეატრისა, დრამატურგიის, მსახიობის ოსტატობისა და სხვა საკითხებზე.

ჩაის პლანტაციაში.

ფოტო მ. იაშვილისა.

დაჯილდოება

მიმდინარე წელს თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით, დაჯილდოვდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საპატიო წოდების მინიჭება

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობს **შოთა ივანეს-ძე ხაპალიას**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით, მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

• • •

ქართული საბჭოთა ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის **თამარ დიმიტრის ასულ თარხნიშვილ-კვალიაშვილს**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 13 ივლისის ბრძანებულებით, მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

სოფლის სასწორზე აწონილი სიტყვა

რევაზ ჯაფარიძე

მინდა მზე ვიყო, რომ სხივები
ჩემი დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს ჟამთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო.

ნ. ბარათაშვილი

შუა ზაფხული იყო, სიმონ ჩიქოვანის ახალი ლირიკული ლექსების ციკლი „შემოდგომის დღეები აჭარაში" რომ გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე. მას აქეთ გაზეთის ის ნომერი საწერ მაგიდაზე მიდევს და გადაჭარბება ოდნავადაც არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ხსენებული ლექსების მეათედ და ასმეერთედ გადაკითხვა სულიერ მოთხოვნილებად გადამექცა. კიდევ მეტიც: მინდა ლექსები სხვებსაც წავუკითხო და გულის [illegible] თრთოლვა ყველას გავუზიარო, ვინც კი იცნობს პოეტური სიტყვის მადლით ზიარებული.

ალბათ ვერ მოვიგონებ დროს, თუ როდის გადავწყვიტე პირველად სიმონ ჩიქოვანის პოეზიის გარშემო ორიოდე მოკრძალებული სიტყვა დამეწერა და წლების მანძილზე დაგროვილი ფიქრები საჯაროდ გამომეთქვა.

მე სულაც არ მიმაჩნია დასამალავად და სასირცხვოდ ის გარემოება, რომ სიმონ ჩიქოვანის, ამ ერთად თავისებური, გრძნობით და აზრით სავსე პოეტის შემოქმედების გამო წერა ყოველთვის მეძნელებოდა და ახლაც მეძნელება. თუ მაინც გავბედე და ხელში კალამი ავიღე, ეს უპირატესად იმით აიხსნება, რომ გულში ამოჭრილი სურვილი ადრე თუ გვიან მაინც უნდა განმეხორციელებინა, ხოლო ბოლოდროინდელმა ლექსებმა — „შემოდგომის დღეები აჭარაში" — საბოლოოდ ფრთები შემასხა და „დარღვევაც დუმილისა" მომინდომა.

ლექსებს ამ პატარა ციკლში პოეტმა საკუთარი ბიოგრაფიის ყველაზე უფრო დრამატული მონაკვეთები ჩაატია, ხოლო ეს ბიოგრაფია, თავისი ფეხით გავლილი ცხოვრების გზა, მთელი თაობის გზად გაიცოცხლა მკითხველის წინაშე.

ციკლის ყოველი ლექსი ავტორის ლირიკული აღსარებაა და იმდენად გამსჭვალულია განცდის უშუალობით, რომ მის ფილოსოფიურ სიღრმეს თუ ზნეობრივ კრედოს საკუთრივ გონებით კი არა, არამედ, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, „გულის გონებით" სწვდები.

ს. ჩიქოვანის ლექსებში გრძნობა აზრის კონკრეტული გამოხატულებაა. იგი ილუსტრაცია კი არ არის აზრისა, აზრი გრძნობის სახით იბადება. ვფიქრობ, ცალმხრივად მსჯელობენ ზოგიერთი კრიტიკოსები, როცა ს. ჩიქოვანს „აზრის პოეტად" ნათლავენ და კიდევაც ფიქრობენ, ამით დიდ კომპლიმენტს ვეუბნებითო.

ვგონებ არავინ არ ჩამითვლის დიდ პარადოქსად, თუ ვიტყვი, რომ ბუნებაში არ არსებობს არავითარი „აზრის პოეზია", ისევე, როგორც საქმეში ჩაუხედავი დილეტანტების მიერ არის გამოგონილი ე. წ. „ინტელექტუალური პროზა" და სხვა ამგვარები.

პირველს, რომლის კლასიკურ წარმომადგენლადაც ბევრს ს. ჩიქოვანი მიაჩნია, თუ საჭიროება მოითხოვს საგნებს თავ-თავიანთი სახელები დავარქვათ, შეგვიძლია „შიშველი რიტორიკა" ვუწოდოთ, ხოლო მეორეს „დროსა და სივრცეს მოწყვეტილი ბელეტრისტული ვარჯიშობანი", რომელიც შესაძლოა ახალგაზრდა ავტორისათვის სასარგებლოც იყოს ხმისა და კილოს ძიებისას, მაგრამ იგი ოდესმე უსათუოდ უნდა გადაიდოს და ადგილი, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივ პროზას დაუთმოს.

„აზრის პოეზია" და „ინტელექტუალური პროზა" მხოლოდ გრძნობის სიღარიბისა და აზრის უნაყოფობის მისაჩქმალავი საბურველია, იგი ავტორის პიროვნების ინტელექტუალური და ზნეობრივი შეზღუდულობიდან, უფრო მეტიც — ეგოისტური კარჩაკეტილობიდან და წინდაუხედავი თვითკმაყოფილებიდან მომდინარეობს.

ამიტომ ნურავის ეგონება, თითქოს ზემოთხსენებული ბრჭყვიალა იარლიყების მიკერებით ვინმე კომპლიმენტს ეუბნებოდეს.

ამ გაგებით, ს. ჩიქოვანის აჭარული ციკლის ლექსები, რომლებიც ფორმის სისადავით და შიგ ჩაქსოვილი იდეური მიზანდასახულების სიცოცხლისუნარიანობით იქცევენ მკითხველის ყურადღებას, შეგვიძლია „ტრადიციულ ლექსებად" მივიჩნიოთ.

ეს „ტრადიციული ლექსები" იმდენად, რამდენადაც მკითხველის „გულის გონებას" მკვეთრად გამოხატული ემოციით აღაგზნებენ და ამ გზით პოეტის მაღალ ნააზრევს შთააგონებენ.

ლექსების „გრძნობადი მხარე" ავტორის სულიერი დრამის ანარეკლია. იგი წმინდა ბელეტრისტული დეტალით და ხილული სამყაროს ცოცხალ სურათს იძლევა.

მაგრამ აჭარული ციკლის „ტრადიციულობა" აქ როდი მთავრდება. ციკლის შემადგენელი ყოველი ლექსი ტრადიციულია იმ ზნეობრივი დანიშნულებითაც, რის საჩვენებლადაც იგი არის დაწერილი. დიდი პოეტის შემოქმედებაში თვითეული ლექსის ადგილი ისევე განსაზღვრული და თითქმის ლოგიკური აუცილებლობით ნაკარნახევია, როგორც ამა თუ იმ ქიმიური ელემენტის ადგილი მენდელეევის პერიოდულ სისტემაში. ჭეშმარიტი ლექსი იმიტომ დაიწერა, რომ ის უსათუოდ უნდა დაწერილიყო. მაგრამ, თუ უსათუოდ უნდა დაწერილიყო, მაშ უკვე არსებობდა მისი შექმნის ნიადაგი და სოციალური მოთხოვნილება. ლაპარაკია არა საერთოდ ლექსზე, არამედ კონკრეტულად ამა და ამ ლექსზე.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური პოეზიის მეხოტბეებმა: ბარათაშვილმა, ილიამ, აკაკიმ, შემდეგ ვაჟამ, თუ გურამიშვილის შემოქმედებას და თვით შოთას არ გავიხსენებთ, შექმნეს დიდი ტრადიცია ერის სამსახურისა. მათ პოეზიის საკურთხეველი ტრიბუნად აქციეს და მხატვრული სიტყვა ხალხის, ადამიანის, პროგრესის სამსახურში ჩააყენეს.

ეს არის კლასიკური ქართული პოეზიის — და განა მარტო პოეზიის — იდეური შინაარსი. თვითეული ახალი ქმნილების ამქვეყნად მოვლენა და არსებობის უფლება გამართლებულია იმ მოთხოვნილებით, რაც პოეტური მუზის წინაშე მშობელი ხალხის აწმყომ და ისტორიულმა პერსპექტივამ დააყენა.

იყო დრო, როდესაც ლექსი სალონური გართობის საგნად ან ხბოს აღტაცებით შეპყრობილ პანეგირიკად იქცა, ვინაიდან მან დაკარგა მასშტაბი და სოციალური ღირებულება, ხოლო თუ პოეზიას მისი ეს მთავარი შინაარსი წაერთვა, მაშინ „ლექსის წერა", „მელექსეობა", რაც უნდა ნიჭს მოკლებული, მაგრამ წიგნიერი კაცისათვის ძნელი არ არის, ყველას მისაწვდომი გახდება. „ზღვარდმო ნიჭი", როგორც იტყოდა ხოლმე დიდი ილია, უკვე აღარ იქნება საჭირო და ყველა და ყველაფერი გათანაბრდება...

ს. ჩიქოვანის ლექსების ციკლს „შემოდგომის დღეები აჭარაში" ტრადიციული ელფერი იმითაც დაჰკრავს, რომ იგი აგრძელებს და ავითარებს ქართული კლასიკური პოეზიის მოქალაქეობრივ სულისკვეთებას და ლექსს კვლავ უბრუნებს წართმეულ შინაარსს — აზრის და გარდაუვალი არსებობის უფლებას.

— მაგრამ, თუ ასეა, რაღაა ახალი ამავე ლექსებში? — ალბათ შემეკითხებიან „აზრის პოეზიის" და „ინტელექტუალური პროზის" მქადაგებლები. — აქამდე ვიცოდით, რომ სიმონ ჩიქოვანი ნოვატორი პოეტი იყო. ნუთუ ის თავიდან ბოლომდე „ტრადიციულია"?

ს. ჩიქოვანის აჭარული ციკლი ახალი და ნოვატორული იმით გახლავთ, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, თვით სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის და არა რომელიმე სხვა პოეტს. ციკლში შემავალი ლექსები, უეჭველია, ს. ჩიქოვანის თვალით დანახული ხილული სამყაროა, ავტორის სულის სარკეა.

და სწორედ აქ არის პოეტის უდიდესი ოსტატობა, შეიცნოს თავისი სული და ყოველივე, რის შესახებაც წერა მოუწადინებია, საკუთარი სულის სარკეში ჩაახედოს. ამიტომ ყოველი სხვაგვარი ძიება, ვიდრე ძიება საკუთარი სულის სრულყოფილი გამოხატვისა. სამყაროს ახლებურ ხილვას თან მოსდევს შესაფერი ფორმა, ვინაიდან ის ამ კონკრეტული ფორმით არსებობს...

პოეტის ფიქრს ყოველთვის „სხეულებრივი სახე" აქვს მიღებული, ხოლო „სხეულები", უეჭველად თუ ვიტყვით, სულს იდგამენ. აწ უკვე გარდასული დღეების მოგონებები პოეტს „მაღლა აწეული ქუდებით ხვდებიან გზაზე"; მისი „ცხოვრების ერთი ფურცელი ზღვაზე ირხევა, ვით იალქანი"; მთიდან ხევსურივით ქარი ღამე ეშვება; მეუღლე საღამო პოეტს მეგობრის ჩუმი ღიღინივით მოსდევს; „ეჭვით სავსე სიჩუმეს" ზღვის პირას გამომტყვრალი მატარებლის დგანდგარი არღვევს; ოდესღაც ურმობის დროს გაცლილი ნაბიჯების კვალს პოეტი ბილიკებზე ეძებს, ხოლო წინ მუდამ და ყოველთვის წყურვილის გრძნობა მიუძღვის, „როგორც კვართი და სიცოცხლის ეჭვი"; იმედი კვარის ცეცხლივით ანთია...

შედარებები მოულოდნელია და, ნაცვლად მსგავსებისა, თითქმის კონტრასტზე დამყარებული. იგი ახალ ქართულ პოეზიაში მხოლოდ ს. ჩიქოვანისათვის არის დამახასიათებელი და მკითხველს აზრის გრძნობად სინამდვილეს უხსნის.

სამყარო ს. ჩიქოვანის ამ ლექსებშიაც მეტაფორის საშუალებით წარმოგვიდგება. კონკრეტული მეტაფორული აზროვნება ერთი უმთავრესი და განმასხვავებელი ნიშან-თვისებაა ს. ჩიქოვანის პოეზიისა.

მაგრამ, რაც ზემოთ ითქვა, მხოლოდ გამოხატვის ხერხი და ფორმაა. ეს ის „გრძნობადი მხარეა", რომელიც „ზედაპირზე დევს".

რა არის სიღრმეში? რას ეუბნება პოეტი მკითხველის „გულის გონებას"?

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ პოეტმა აჭარული ციკლის ლექსებში თავისი ბიოგრაფიის ყველაზე უფრო დრამატული მომენტები მოაქცია. ლექსად გარდაქმნილი ყოველი ეს მომენტი ღრმად ადამიანურია, ზოგადსაკაცობრიოა, მაგრამ, ამავე დროს, წამითაც არ ჰკარგავს ხელშესახებ სახეს, რადგან ის კონკრეტული შემოქმედის სულის ამონაშუქი და დიდი ტკივილის გამზელაა.

თუ ფორმის საკითხზე მსჯელობისას ს. ჩიქოვანის პოეზიაში მეტაფორულ აზროვნებას გაბატონებული მდგომარეობა მივაკუთვნეთ, სათქმელის, ლექსის დედააზრის ირგვლივ პოლემიკა სამყაროს დრამატიზებულ აღქმასთან მიგვიყვანს.

განცდის სიმძაფრე და აზრის პუბლიცისტური სიმახვილე მსუბუქარე კოლორიტით აგიზგიზებს აჭარული ციკლის შემადგენელ თვითეულ ლექსს. ეს ლექსები, ერთი შეხედვით, შემოდგომის დღეებზე, სიცოცხლის მიმწუხრზე, გამოთხოვებაზე, თვალსა და ხელს შუა გამქრალ სიჭაბუკესა და სიმწიფის წლებზე ღაღადებენ, მაგრამ საკმარისია, ყველა ეს ლექსი მიყოლებით გადაიკითხო, რომ იგრძნო ის საერთო და უმთავრესი, რაც ლექსებს ერთ კონად ჰკრავს და ერთი სათაურის ქვეშ აქცევს.

ეს არის ფიქრი სამშობლოზე.

ეს ის ფიქრი და ზრახვაა, რომელიც სულსა და გულს უწრთვიდა ლუკმა-პურის საშოვნელად ნამიქვეყნის უდაბნოში გადახვეწილ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ფიქრი და ზრახვაა, რომელსაც მთელი სიცოცხლე უგალობა საქართველოს ბულბულმა დიდმა აკაკიმ, ფიქრი და ზრახვაა, რომელიც საფლავშიაც თან ჩაიყოლა წიწამურის ბოლოზე მტარვალის ტყვიით შუბლგახვრეტილმა ილია ჭავჭავაძემ...

სამშობლოს წმინდა მცნება აერთიანებს აჭარული ციკლის ყველა ლექსს და პოეტის ღრმა ადამიანურ ხვედრს განუზომელ სიფართოვეს, სიღრმეს და, ასე გასინჯეთ, დიდ ოპტიმისტურ ჟღერადობას ანიჭებს.

აქ არ არის სიყვარულის განცხადება სამშობლოსადმი, იმერული კილოკავი რომ ვიხმაროთ — „ფიცი და მტკიცი", ასე და ასე მიყვარხარო, თავს შემოგწირავო, შენი კეთილდღეობის გულისათვის ჯვარს ვეცმებითო.

სიმონ ჩიქოვანი ათას ჭირვარამში გამოვლილი დაბრძენებული კაცის ფარული ნაღველით ელაციცება სამშობლოს მთა-გორებს. ერთ დროს ასეთივე ფარული ნაღველით და თავშეკავებული გულისკანკალით უმღეროდა მშობლიურ სანახებს ჯერ მთლად ახალგაზრდა ტატო ბარათაშვილი...

აჭარა ისეთივე სიმბოლოა მთელი საქართველოსი, როგორიც მთაწმინდა ან ყაბახი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის. ნურავინ გაიოცებს თუ ვიტყვი, რომ განუმეორებელი დრამატიზმით დამუხტულ ლექსს, რომელსაც „შემოღამება მთაწმინდაზე" ჰქვია, სულიერად ენათესავება ს. ჩიქოვანის აჭარული ციკლის ლექსები, განსაკუთრებით კი „გამოთხოვების საღამო" და „ნატვრა".

ასე თუ ისე, ს. ჩიქოვანი თავს იმ ადამიანად სთვლის, რომელმაც ცხოვრების გრძელი გადასარბენი უკვე გაიარა და ახლა განვლილ გზას ხანდაზმულობის მწვერვალიდან დასცქერის. იგი აჭარის მთებს შენატრის [illegible], ოცნებობს მუხლის ძალაზე და მშობელი ქვეყნის მადლიან კუთხეს სათხოვებით ემუდარება, ცხოვრების ბაჯაღლო შუადღე მიბოძეო.

ახალგაზრდობა და სიყრმის დღეების დაბრუნება ვის არ უნატრია, მაგრამ ბუნებისადმი ს. ჩიქოვანის ეს მუდარა სამშობლოს მომავალზე ზრუნვით და ფიქრით არის აღვსილი. მას ახალგაზრდობა და თუნდაც ცხოვრების „ბაჯაღლო შუადღე" იმისთვის სჭირდება, რომ სამშობლოს კვლავაც ემსახუროს, ოქრო გამოჭედოს, აჭარის მთებს მინდიად მოევლინოს, ქვეყნად უფრო მეტი და მეტი სიკეთე დათესოს.

პოეტს ვერ უკმარია ბუნებისაგან ბოძებული ერთი სიცოცხლე და სამშობლოს ემუდარება:

ზღვის მომიჯნავე მამულის კუთხევ,
მოველ და გიძღვენ წრფელი
მადლობა.
ჩემო აჭარავ, მწუხრზე [illegible],
კვლავ დამიბრუნე ახალგაზრდობა.
. . . . . .
მწყურვალე ვარ და [illegible],
ნუ დამტოვებ სურის ცარიელს,
მე უკვდავების წმინდა წყაროზე
ჯერ ერთი პეშვი წყალი დამალევ.

ამაზე უფრო მეტი უკმარობისა და წყურვილის გრძნობა, სურვილი, რაც შეიძლება მეტი სულიერი საზრდო მისცე შენს ხალხს, შენს ქვეყანას, მის მოუშუშებელ იარებს მალამოდ დაედო, ძნელად წარმოსადგენია.

აი ცხოვრების მიზანი! აი კაცური კაცის სიცოცხლის აზრი და დანიშნულება! და ეს პოეზია როდია, კალმის წვერს შემთხვევით, რითმის გასამართავად მოყოლილი ფრაზები როდია, პოეტის გულის ცხრაკლიტულში ჩაკეტილი საიდუმლო გახლავთ, არცთუ ისე ადვილად გამოსამზეურებელი და გასახსნელი!

სიბნელეში გაელვებული სანთლის წვერივით ჩნდება ლექსებში სულის მღრღნელი ეჭვი. პოეტს უხარია, როდესაც ზღვის პირას მიმქროლავი მატარებელი აქრობს „ეჭვით სავსე სიჩუმეს". სხვა ლექსში — „სულში ფოთლების ქარიშხალია" — სიტყვა „ეჭვი" კიდევ უფრო დრამატულად ჟღერს:

თქორი გაქრა და შარა მშრალია,
მცირე სიგრილე მიდევს აბგაში.
ჩემს სულში ქარია, ქარიშხალია,
მცირე ეჭვი და ჩუმი განგაში.

სწორედ ეს „მცირე ეჭვი და ჩუმი განგაშია" მიზეზი დიდი სამშობლოსადმი ავტორის ღაღადისა, „კვლავ დამიბრუნე ახალგაზრდობა" და ცხოვრების „ბაჯაღლო შუადღე მიბოძეო". პოეტს უკმარობა სტანჯავს. ადვილად მისახვედრია, რას გულისხმობს იგი „მცირე სიგრილად". ცხოვრების მეორე ნახევარში ძალიან ბევრი საზრუნავი დაუგროვდა და, ვიდრე პირში სული უდგას, კაცმა ხომ უნდა მოასწროს ყოველი ამქვეყნიური საქმე! საზრუნავის სიღრმე და სიუხვე სიბრძნემ მოიყოლა...

ეს ხომ კეთილი ადამიანის წუხილია, მაგრამ რამდენად განზოგადებული, რა შორს სწვდება!

ხალხური თქმისა არ იყოს, სანამ საკუთარი პერანგის თრევა შეუძლია, პოეტი სულაც არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას. ის თავის ახალ ქმნილებებზე ოცნებობს, ოცნებობს ქვეყნად დათესოს სიკეთის მარცვლები და ისე რა კიდევაც, რომ საწადელს მიაღწევს, რომ კიდევაც დათესს სიკეთის თესლს, როგორც წინათ დაუთესია. ოღონდ მას, პირადად, ბევრი არაფერი სჭირდება, მხოლოდ ძალღონე შეაძლებინოს კეთილშობილური ზრახვის შესრულება:

მე ერთი ლუკმა პური მეყოფა,
[illegible] ყველი და [illegible]
და თუ შარაზე ღამემ მომლოდა,
არ მეშინება, [illegible]!

მაგრამ გულში ახალი ეჭვი იღვიძებს, და ლექსის ტრაგიკული კილო უკვე მწვერვალს აღწევს:

სულის სანთელი ეგებ მიქრება,
არ მინდა ლოცვა და ზიარება,
კვლავ ჩამიარეს ძველმა ფიქრებმა,
გამომაფხიზლეს კვლავ იარებმა.

მკითხველმა იცის, რა ფიქრებმა ჩაუარა პოეტს სულის ამ ტრაგიკული თრთოლვის დროს, რა იარებმა გაიხსნა პირი... ლექსის ბოლო სტროფში პოეტი ისევ იბრუნებს ძველ შეურყეველ რწმენას და შედარებითი სიმტკიცით გვეუბნება, რომ მკითხველიც დაარწმუნოს და თავისი თავიც:

ჯერ არ მაგრძნია მუხლებში დაღლა,
ჯერ არ გამქრალა სიყრმის ნუგეში
და საზრუნავი მეტი მაქვს ახლა,
ვიდრე მქონია სიჭაბუკეში.

და აი, მთავარი სათქმელი და საზრუნავი: „მეორედ თიბვა!" პოეტი სიმხნევით ივსება. ის ჭაბუკურად გატაცებულია. კიდევ შეიძლება იყოს მთიბველი და მთის ფერდობზე დაკრიფოს ნუში! პოეტი თვალნათლივ ხედავს, როგორ თანდათან უბრუნდება ადრინდელი ჯანი და ბრძოლის ჟინი. სულში ცოცხლდება ჯერაც ხორცშეუსხმელი სახეები:

ხსოვნას შემორჩა ფიქრი რჩეული,
სათესლე ყანის ხორბალი წმინდა.
ფოთლები ჭრელი თუ ჭირვეული
გამოჩნდება თუ სულ დაიბინდა?
ზღვის [illegible] ნისლით [illegible],
გზაზე მეხვევა ცაცხვის ფესვები.
რტოზე მწიფდება [illegible]
და ანეულზე მე ვარ მთესველი.

მაგრამ მარტოკაცი ჭაბუკიაც ბრალიაო. ცხოვრების სიკეთეს, მათ შორის სულიერ საგანძურსაც, ერთეულები როდი ქმნიან. პოეტი საზოგადოების წევრია, მისი ქვეშევრდომი და მისივე წინასწარმეტყველი. ის ხალხთან არის, ხალხის წიაღშია და განუყოფლად იზიარებს მის ჭირსა და ლხინს.

კერის ცეცხლივით ენთო იმედი,
[illegible] გრძნობები მუდამ ჭკვიანი,
წელი [illegible] ოცდაჩვიდმეტი,
[illegible]
მაინც არ გავტყდით, არ დავიღუნეთ,
ბოლომდე გავყევით გზებზე მხარდამხარ...

საყვარელი ქალისადმი, ცხოვრების თანამგზავრისადმი აჭარულ ციკლში ორი ლექსია მიძღვნილი. მეორე ლექსში, რომელსაც სათაურადაც „ცხოვრების გზაზე" ჰქვია, თითქოს კონცენტრირებულად არის შეკუმშული ავტორის მთელი პირადი ცხოვრება, მაგრამ, ამავე დროს, იგივე ლექსი რევოლუციისწინანდელი მთელი თაობის ცხოვრების მართალი მატიანეა. თემატურად ლექსი სატრფოს ეძღვნება, მაგრამ სატრფო ამხანაგია და შეუპოვარი თანამებრძოლი. ის თითქოს არარაობიდან შემოსულა პოეტის გულში.

ზღვაზე ვერ ვნახე [illegible],
როგორ მოფრინდი, [illegible],
მე შენს სიყვარულს მთებში ვეძებდი,
მერე ზღვის პირას [illegible],
გულში [illegible],
გზაზე გვეკვეთა ჭაღი და ტალღა,
ბევრჯერ [illegible]
და მეგობარი შემოგვრჩა ბევრი.

მეგობრები — ხალხი, თანამოაზრეები, რომელთაც პოეტი ახსენებს, ძალაა, სიცოცხლის გაგრძელება და მარადი იმედია. იგი კეთილი ზღვაა, რომელშიაც ორი შეუცვლელი მეგობარი, შეთანხმებული მხარულით მიცურავს აღთქმული ნაპირისაკენ.

მით უფრო დრამატულად ჟღერს ლექსის მომდევნო სტრიქონები:

ისევ ზღვასთან ვარ, როგორც
დასჯილი,
მაგრამ სამკურნალო ბალახი ვთიბო,
შენ კი შორს წევხარ მხარში დაჭრილი
და მე მერგება სიცოცხლის ლიბო.
დღეებს ვითვლი და ბევრჯერ
გინატრე,
ვერ დავასრულე შენთვის უსტარი,
ღამემ წამართვა წუთით სინათლე,
თუ ცისფერ ცისკარს ვერ მივუსწარი,
წუთისოფელი კი მიდის...

ჩნდება ახალი საზრუნავი. ერთი სიცოცხლე, რა ხანგრძლივი და ნაყოფიერიც არ უნდა იყოს, მაინც არ კმარა ყველა კეთილი ზრახვის შესასრულებლად.

ლექსში — „მიდის და მიდის წუთისოფელი" — პოეტი სიცოცხლეს ერთ განუწყვეტელ და უსასრულო პროცესად წარმოიდგენს, რომელშიაც თვითეული ადამიანის ან თაობის ბიოგრაფია მხოლოდ მომდევნო და წინამავალი რგოლია წუთისოფლის ჯაჭვისა.

პოეტის სმენას „სიცოცხლის მიმწუხრის ჰანგი" თუ „შემოდგომის სიმღერა" სწვდება და ბუნებრივი მოთხოვნილება ებადება: „სულის მადლი და ჰანგი მწუხრის მოსვლამდე გადასცეს ვინმე". პოეტის ეს მისწრაფება ბუნების გარდაუვალი კანონის გამომხატველია, მაგრამ, ამავე დროს, იგი კეთილშობილი ადამიანის და მამულიშვილის უჩვეულო ნებად გვევლინება.

სიმონ ჩიქოვანი, როგორც ყოველი დროის ყველა დიდბუნებოვანი მოღვაწე და პოეტი, წინ იყურება, სულის სიმშვიდეს მშობელი ხალხის მერმისში ხედავს, ასეთებს კი მარადიული სიცოცხლე უწერიათ.

სომხური დრამატურგიის მამამთავარი

გაბრიელ სუნდუკიანი სომხურ დრამატურგიას მოევლინა გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, როცა ჩანასახოვან სომხურ თეატრს ფეხი ახლად ჰქონდა ადგმული. სუნდუკიანის პიესებმა უცბად წელში გამართა სომხური თეატრი, მიიზიდა მაყურებელი, გამოიღვიძა ნიჭიერი სასცენო ძალები და ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და აღორძინების გზაზე დააყენა.

ამ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენები მოხდა საერთოდ რუსეთის და, კერძოდ, ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ბატონყმობის გაუქმება, [illegible], ფეოდალური ფენათა დეგრადაცია და, მათთან ერთად, სავაჭრო კაპიტალის განვითარების პროცესები უზარმაზარ მასალას აძლევდა ყოველ ნიჭიერ შემოქმედს.

გ. სუნდუკიანმა, როგორც კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო წარმომადგენელმა, მწერლის მახვილი თვალით დაინახა და ლაღი მხატვრული შემართებით გადმოგვცა ცხოვრების ეს მოვლენები.

1825 წლის 11 ივლისს თბილისში დაბადებულმა გაბრიელ ნიკიტას ძე სუნდუკიანმა დაწყებითი სწავლა სომეხი მწერლის, პედაგოგისა და განმანათლებლის ხაჩატურ აბოვიანის კერძო პანსიონში მიიღო, შემდეგ თბილისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე შევიდა. რუსეთში ყოფნის დროს გ. სუნდუკიანმა შეისწავლა უცხო ენები და აქ გაეცნო დემოკრატიულ მოღვაწეთა მოწინავე იდეებს. ის აქ ხშირად დადიოდა თეატრში, მეგობრობდა რუს მსახიობებს შჩეპკინს, მარტინოვს, სამოილოვს და სხვათა ბრწყინვალე თამაშით შეიყვარა თეატრი და სწავლის დამთავრების შემდეგ ამ სიყვარულით დაბრუნდა სამშობლოში.

თბილისში დაბრუნებულმა გაბრიელ სუნდუკიანმა 1863 წელს მოიწვია შემდეგ თეატრის კარი და მას შესთავაზა ერთმოქმედებიანი ვოდევილი „საღამოს ერთი ცხელი ხელი". ამ პირველ პატარა პიესაშივე გამოჩნდა მომავალი დიდი დრამატურგის შესანიშნავი ნიჭი. შემდეგ ამ პიესას მოჰყვა „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს", „და სხვა ანუ ახალი დაოჯახება", „ამანის ბიჭი", „კიდევ ერთი მსხვერპლი", „ხათაბალა", „პეპო", „დაქცეული ოჯახი" და სხვ.

ამ პიესებში სუნდუკიანმა უდიდესი ოსტატობით დახატა გასული საუკუნის თბილისის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, საზოგადოებრივი და სოციალური მოვლენები, „დაბალი" და „მაღალი" ფენების, ბურჟუაზიული „არისტოკრატიისა" და მშრომელი ხალხის საბედისწერო შეჯახება, დაჩაგრულის ბრძოლა. მჩაგვრელების წინააღმდეგ. პროგრესულმა მწერალმა მკვეთრი ფერებით დაგვიხატა ძველი სამყაროს მეუფეთა სახეები, ექსპლოატატორული ბუნება, სამარცხვინო ბოროტება(?) გააკრიტიკა და გვიჩვენა ამ პლუტოკრატიის მორალურად დაცემული სახე.

დიდი სომეხი დრამატურგის პიესებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „პეპო", ეს არის სუნდუკიანის შემოქმედების მწვერვალი, რომელმაც სწორი იდეოლოგიური მიმართულება მისცა სომხურ თეატრსა და დრამატურგიას.

გ. სუნდუკიანის კომედიები ძირითადად აგებულია სერიოზულ დრამატულ მომენტებზე, რომლებიც მათ უფრო მეტ სოციალურ ღირებულებას ანიჭებენ.

გარდა სოციალურ მოვლენათა პროცესების ასახვისა, სუნდუკიანმა თავის შემოქმედებაში გამოავლინა ადამიანის სულის შეცნობის დიდი უნარი, დიდი ესთეტიკურ-მხატვრული გემოვნება, სასცენო ხელოვნების ზედმიწევნითი ცოდნა და დაგვიხატა მეტად საინტერესო, ცოცხალი, მეტყველი და დაუვიწყარი პერსონაჟები.

სუნდუკიანმა ყველა თავისი პიესა, ერთის გარდა („მეფუნდები"), თბილისის სომხური დიალექტით დაწერა. მაგრამ ეს ჟარგონი კი არ არის, არამედ თავისებური, ლამაზი, ქართული თქმებითა და იდიომებით გამდიდრებული ნაწარმოებებია. სომხურ ლიტერატურაში თბილისის სომხური დიალექტით შექმნილია ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, პუბლიცისტური წერილები, ეთნოგრაფიული ნარკვევები და სხვა მრავალი. ამ ენით არის შესრულებული „ვეფხისტყაოსნის" პირველი სომხური თარგმანიც.

გ. სუნდუკიანის პიესებს ახასიათებს მოხდენილი იუმორი, სატირა, ხშირად სარკაზმიც. საერთოდ გ. სუნდუკიანი გონებამახვილი და მოსწრებული სიტყვის ოსტატია.

სუნდუკიანის პიესებმა მარტო სომხური თეატრის განვითარებას კი არ შეუწყო ხელი, არამედ ქართული რეალისტური თეატრის განვითარების საქმეშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. სუნდუკიანის პიესები თავიდანვე დამკვიდრდა ქართულ სცენაზეც და დიდი როლი შეასრულა სომხურ-ქართული თეატრალური ურთიერთობის განმტკიცებაში.

სუნდუკიანი ისევე მიღებული და საყვარელი პიროვნება იყო ქართველებისათვის, როგორც სომხებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია მისი მეგობრული კავშირი და ურთიერთობა ქართველ მწერლებთან, მსახიობებთან და საზოგადო მოღვაწეებთან — ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ანტონ ფურცელაძესთან, რაფიელ ერისთავთან, ლაშა(?) ბაქრაძესთან, კოტე ყიფიანთან, ვასო აბაშიძესთან და სხვებთან.

თუ სომხურ სცენაზე სუნდუკიანის პერსონაჟების შესანიშნავი შემსრულებლები — გევორგ ჩმშკიანი, ვარდოპი, გევორგ ტერ-დავთიანი, ქეთევან არამიანი, მიქაელ ამერიკიანი, ამირან მანღინიანი, ოვანეს (ვანო) ტერ-გრიგორიანი და სხვები აღმოჩნდნენ, ქართულ სცენაზე ამავე პერსონაჟების ხორცი შეასხეს ქართველი სცენის კორიფეებმა — ვასო აბაშიძემ, მაკო საფაროვა-აბაშიძემ, კოტე ყიფიანმა, ნატო გაბუნია-ცაგარელმა და სხვებმა, რომლებიც გაუწირეს(?), შეგობრული გრძნობებით იყვნენ დაკავშირებული დიდ დრამატურგთან.

უმთავრესად მათვე თარგმნეს სუნდუკიანის პიესები ქართულ ენაზე, გარდა „პეპოსი", რომელიც თვით ავტორმა თარგმნა.

პიესების გარდა, გ. სუნდუკიანი ცნობილია აგრეთვე პროზაულ დაწერილი „პიმლიკის მასლაათებით", რომელშიც არაჩვეულებრივი ოსტატობით არის ასახული ძველი თბილისის სურათები და სახეები, არის გასცეული ყოველგვარი უსამართლობა, არაადამიანური საქციელი.

დიდი ჰუმანისტი და შესანიშნავი დრამატურგი გ. სუნდუკიანი გარდაიცვალა 1912 წელს, 87 წლის ასაკში. მან თავისი ლანდი სიცოცხლე დაამთავრა შესანიშნავი აწყურით, თითქმის ასე ამთავრებს: „მშვიდობით, ძვირფასო სოფელ ჩემო, მშვიდობით, ძვირფასო შვილებო, მშვიდობით, საყვარელო მეგობრებო, მშვიდობით, საყვარელი ადამიანებო, რა უჩინა მოუვლია და სიხარულით ვტოვებ(?) ამ ქვეყანას, მშვიდობით, საყვარელო ქალაქო თბილისო, მშვიდობით, ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ერევ... ყველას საყვარელო გუთნისო(?) ლღერმა ჩამოირჩენ თავს შემდგეთ, მშვიდობით..."

ამას იტყოდა მხოლოდ უაღრესად დიდსულოვანი, კეთილი და კაცთმოყვარე შემოქმედი.

ამას იტყოდა მხოლოდ მოკრძალებული, დიდი ჰუმანისტი ადამიანი.

ამიტომაც დღეს ყოველი ადამიანი და მშრომელი მოკრძალებით „რა ჭირისა, მოვემსახა და საოჭირნოეისას" ამ უკვდავ ადამიანს ეხებ(?) სომხური ლიტერატურის სახელოვან კლასიკოსს.

სურენ აჯიიანი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

„ცდომა" მთარგმნელთა „ტალანტებისა"

ჯერ კიდევ სამამულო ომის წლებში ქართველმა მკითხველმა ინტერესით მიიღო ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის ევგენი ტარლეს წიგნი „ნაპოლეონი". შემთხვევითი არ იყო ეს ინტერესი. აკადემიკოს ტარლეს წიგნები კარგი მხატვრული ნაწარმოებებივით იკითხება და ჩვენს წინაშე ფერხულივით აცოცხლებს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდს თუ ისტორიულ პიროვნებას.

და აი ახლა ჩვენს წინაშეა ტარლეს მეორე შესანიშნავი წიგნი „ტალეირანი", რომელშიც მოთხრობილია ცნობილი ფრანგი დიპლომატის შარლ-მორის ტალეირან-პერიგორის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნი „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა საკმაოდ დიდი ტირაჟით — 25 ათასი ცალის რაოდენობით.

ჩვენ არ შევეხებით ამ ისტორიული ნაწარმოების ღირსებებს — ეს უკვე დიდიხანია ცნობილია საბჭოთა მკითხველისათვის, არც ორიგინალთან თარგმანის შედარებას ვეცდებით.

წიგნი მკითხველის ჩვეულებრივი ინტერესით შევიძინე, დავიწყე მისი კითხვა და გაოცებული და შეშფოთებული დავრჩი თარგმანის ენით. მრავალი სიმახინჯე [illegible] თვალში, ამან გადამაწყვეტინა ამ პატარა შენიშვნის დაწერა.

ვიდრე მაგალითების ამოწერას შევუდგებოდე, მინდა მოვიყვანო წინადადება, რომლითაც მთარგმნელები ერთ „ახალ" სიტყვას გვთავაზობენ: [illegible] (გვ. 20). ცხადია, ეს „ღლაბორობა" შენიშნება ამ საკმაოდ მოზრდილი წიგნის ძალიან ბევრ ადგილას. ამავე გვერდზე ვკითხულობთ: [illegible]. ამ წინადადების ენით რომ ვთქვათ, „ფრანგული" დიპლომატი ტალეირანი თურმე „[illegible] მინისტრი ის რომ მოსურა" (გვ. 140).

ბევრ „ახალ" არის, ბევრ „ახალ" სიტყვას გაიგებთ ამ თარგმანით. თურმე ყოფილა „[illegible]" (გვ. 101). თურმე ამოიცანის [illegible] (გვ. 229) და, რაც მთავარია, [illegible] „ტალანტები" (ნიჭები). ან თუ არ გჯერათ: [illegible] „ტალეირანმა დაიმსახურა [illegible]" (გვ. 180); [illegible] (გვ. 193); [illegible] ტალეირანის ტალანტებზე" (გვ. 218); [illegible] ტალანტებისა" (გვ. 219).

მაგრამ ამ წინადადებებში მარტო ცალკეული არაჩვეული სიტყვები და გამოთქმები როდი გვეცემა თვალში. [illegible] (გვ. 85). [illegible] (გვ. 95). [illegible] (გვ. 104). [illegible] (გვ. 151). [illegible] (გვ. 155). [illegible] (გვ. 158). [illegible] (გვ. 164). „მაგრამ რა დაინახა, ამას ვერ მიადწევდა ტალეირანმა დარჩი" (გვ. 173). [illegible] (გვ. 208). „მაგრამ ავტორი, ნაცვლად იმისა, რომ ეძებ-რებს და მუშაობს, რუსთა უპირატესობის სასარგებლოდ, რატომ ავტორიც არ ეხმარებოდა სავსებით გულწრფელად, წინააღმდეგ ამ გოლიათის" (გვ. 211). [illegible] (გვ. 270). [illegible] (გვ. 322).

თარგმანის სტილის [illegible] მოვიყვანთ კიდევ ორიოდე მაგალითს: [illegible] (გვ. 230). [illegible] (გვ. 299). [illegible] (გვ. 328).

გაუგებრობას იწვევს ასეთი ფრაზებიც: [illegible] (გვ. 99).

მთარგმნელები ერთგან — 104-ე გვერდზე წერენ — „ვენის ტურნ-ი-ტაქსისა", ხოლო 110-ე გვერდზე — „პალატინის ტურნ-ი-ტაქსისა", 154-ე გვერდზე ერთგან წერენ „ადლერლელი", მეორეგან — „ამპერატრისას". მაგრამ რომელიც უფრო სწორი ნეტავ, ამას [illegible] ვიდრე ჩვენ ვერ გავიგეთ.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

ასეთია „ცდომა" მთარგმნელების — რუსუდან და ნინო [illegible] „ტალანტებისა". (და ერთი უბრალო შეკითხვა: რატომ შეიწყნარეთ მთარგმნელებმა ამოწყვეტილი ნაწილი ასეთი საქმიოდ უცნაური ფრაზებით?).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წიგნი დიდი ტირაჟით არის გამოცემული, და უეჭველია შეცდომა ილახება(?) ათასზე გამოყოლილისათვის. საბოლოოდ კი ვინ?

ასეთ თარგმანს მკითხველისათვის მხოლოდ ცუდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

ი. ლუდუშაური

თბილისი. მოსკოვის პროსპექტი.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

ლირიკოსი მხატვარი

ფოთის მეზღვაურთა კლუბში ხელოვნების მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი მხატვარ გიორგი მიღორავას დაბადების 50 და მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე. იმავე შენობის ცალკე დარბაზში გაიხსნა მხატვრის ნამუშევართა პირველი პერსონალური გამოფენა.

გიორგი მიღორავას ადრე მუსიკა იზიდავდა, ხოლო უფრო მოგვიანებით, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის დამთავრებამდე (1940 წ.) ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრმა გამოავლინა იგი როგორც ნიჭიერი მსახიობი და მხატვარ-დეკორატორი. ამიტომ გასაკვირი არ არის თუ მის თეატრალურ ესკიზებსა და ფერწერულ სურათებს მხატვრის მსახიობური წარმოსახვისა და მუსიკალური შეგრძნების უნარი ემჩნევა. მართალია, გამოფენაზე წარმოდგენილი თეატრალური ესკიზებიც ამისათვის საკმაო წარმოდგენას იძლევა, მაგრამ ის, ვინც უნახავს თუნდაც მხოლოდ ფოთის თეატრის სცენაზე მხატვრის მიერ გაფორმებული სპექტაკლები „მოკვეთილი", „ელიტა", „ძალად ექიმი", „ჩემი ყვავილი", „ბალისაძი მეგობრები" და სხვები, უეჭველად დაეთანხმება, რომ მხატვრის ნიჭი განსაკუთრებით ესკიზების განხორციელებაში იჩენს თავს. მახსოვს, სპექტაკლ „დამნაშავის ოჯახისათვის" მან ერთი შეხედვით უბრალო ესკიზები წარმოადგინა თეატრში, მაგრამ როცა ამ ესკიზების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა, ყველა დარწმუნდა, რომ მათ წინაშე იყო მხატვარი, რომელსაც შეეძლო რეჟისორისა და მსახიობის თვალით შეეგრძნო გარე სამყარო. მისი პოეტური ფანტაზია მსახიობს დაეხმარა პიესის იდეური არსის გაგებაში, რომ არაფერი ვთქვათ თვითონ დეკორაციებზე, რომლებიც ტრაგიკული მომენტების აღსაბეჭდად შესატყვის განწყობილებას ქმნიდა მუქი ტონალობითა და მძიმე დეტალებით, [illegible]. რეჟისორთან ერთად მხატვარმა ამით ხაზი გაუსვა ინკვიზიციისა და ჰუმანიზმს შორის ანტაგონისტურ დამოკიდებულებას და ეპოქის ხელოვნების(?) მშფოთვარებას.

მხატვარი თეატრში ოცდაერთი წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, 1961 წლიდან კვლავ უბრუნდება ფერწერას. მან სულ რაღაც სამ-ოთხ წელიწადში ორმოცდაათამდე დიდი და პატარა ფერწერული სურათი შექმნა. იგი წარმატებით მონაწილეობს გამოფენებში.

ამიტომაც გამოფენა, როგორც ვთქვით, მდიდარი არ არის ტიპობრივად განსხვავებული ფერწერული სურათებით, მაგრამ იგი მაინც იძლევა საერთო წარმოდგენას მხატვრის შემოქმედებაზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამიოდე პორტრეტულ სურათს („აკაკი წერეთელი", „უშანგი ჩხეიძე", „თავისუფლება ეკვიტა") აქ ძირითადად წარმოდგენილია თანამედროვე კოლხეთის ამსახველი პეიზაჟები, ხოლო ხშირ შემთხვევაში ეს პეიზაჟები (რა თქმა უნდა, სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით) ჟანრული ხასიათისაა („პალიასტომის მეთევზეები", „საღამო ხანი ნავსადგურში", „დატვირთვა ნავსადგურში" და სხვ.).

მხატვარს სულ უფრო იტაცებს და იზიდავს მზიური ფერების, ხმისა და სივრცის გამოცემა. იგი ისწრაფვის წარმოსახოს ბუნების მდიდარი მრავალფეროვნება. ამიტომ არის, რომ ცა და წყალი მის პეიზაჟებში მთავარ ადგილს იჭერს. ერთიც და მეორეც მხატვრისათვის თითქოს მრავალფეროვანი ბუნების სარკედ ქცეული შინაგანი განწყობილების გამოსახატავად. სურათი „პალიასტომის მეთევზეები" ამის საუკეთესო მაგალითია. ჩარჩოდან თითქოს პირდაპირ სახეზე ხვდება მაყურებელს პალიასტომის ტბიდან მონაქროლი ნიავი. მზის შუქით ალივლივებული თოლიების გაშლილი ფრთები თითქოს უმღერიან მეთევზეთა შრომას. მომხიბვლელია კომპოზიციის მთლიანი კოლორიტი და ცხოველი დინამიკა, ნათელია მხატვრის განწყობილებაც. ამგვარი განწყობილებაა მის სურათებში: „საღამო ნავსადგურში", „[illegible]", „შემოდგომა კაპარჯანაზე" და სხვ...

როგორც ვთქვით, მხატვარს აქვს პორტრეტული ჟანრის შექმნის ცდებიც. ამ მხრივ დამახასიათებელია აკაკი წერეთლის და უშანგი ჩხეიძის პორტრეტებში მიღწეული ამ ორი შემოქმედის შინაგანი დახასიათება.

აკაკი წერეთლის პირველი პორტრეტი, რომელშიც პოეტი წიგნის კითხვის დროს არის წარმოსახული, შინაგანი დახასიათებით უფრო ზუსტია, ვიდრე მეორე, რომელშიც წარმოდგენილია პოეტის თავაწეული პროფილი.

გამოფენის დამთვალიერებელთა გულწრფელი მადლიერება საუკეთესო შეფასებაა მხატვრის ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისა.

გივი ბარამიძე

ჩანახატი

ზღვასთან

ტალღა, კიდევ ტალღა... მერე ისევ ტალღები.

შორს, ზღვის კიდეზე ფიფქივით თეთრი და აზვირთებული [illegible] მოგორავს ნაპირისკენ. ტალღები ეხეთქება ერთმანეთს.

წყვილი ჩამომჯდარა ნაპირთან [illegible] ანა თეთრი, ბანი თეთრი, რომელსაც შავი [illegible].

ვაჟმა სალოცავივით ვერ მიაგნო, თითქოს [illegible] ზღვის ტალღა კი ეხეთქება ნაპირს. და კიდევ... აბა თითი... ქალმა მიაგნო. უხარია ვაჟსაც უხარია და ორივე იცინის ისევ.

ზღვა ღელავს. შუა თითის მოიდგნა მოისვენებს და, მაშინ უფრო, როცა ღელავს ზღვა და... ნაპირთან ჩამომჯდარა წყვილი. გასცქერის ჰორიზონტს. ო... რა შორს არის ის ხაზი, ქალი თმაავიწყდე [illegible] ზღვას და ცას კიდეს აერთებს.

სწორედ იქიდან მოგორავს ტალღა და ეხეთქება ნაპირს. შინდისი(?) ქალი მიწაზე, ქალს კი სახეს [illegible].

სურს შეამჩნიოს, ვაჟი ისწრებს — ის თვითონ ჰკიდის ქალს სახეზე აგორებულ მარგალიტს. წვეთით ცვივა, ქალის სახე თბილი. და ქალის თვალები თბილია, ზღვა ღელავს, ტალღა კი — თეთრი, ლურჯ ზღვაზე მოგორავს ბრძოლური ტალღა.

ვაჟი ხელში იღებს ქალის თითებს: ერთი, ორი, სამი... მერე როგორ შეხევიან ერთმანეთს. ვაჟი ხელახლა ითვლის ქალის თითებს. რატომ არის ასე? — ხან მეტია, ხან — ნაკლები. ქალის თითები ზღვის წვეთებზე უფრო ბრილიანტებია.

ზღვა კვლავ ღელავს. ზღვა მღერის რაღაც სიმღერას, თოლიები წყალწყალად დაფრინავენ.

ქალ-ვაჟი ჩამომჯდარა ნაპირთან. სიმღერებს(?) სიხარულის(?) უწყვეტ თვალებში. ვაჟის წინ ორი ზღვაა, როგორც ზღვა იბადება მის. მას ორივე უყვარს, ერთი გული კი აქვს.

ზღვაზეთი აღარ არის სასიამოვნო. თითქოს ცეცხლი, ვაჟმა შეხედა ქალს თვალებში. ქალი ღიმილობდა. ვაჟიც ღიმილობდა. მერე კი თითქოს ისეთივე დამტკბარი ამ ზღვაში.

ტალღა კი მოგორავს შორიდან. ღელავს ზღვა, ღელავს და...

წყვილი ჩამომჯდარა ნაპირთან და არის განაბეული.

ორი ზღვაა — ზღვა ცისფერი და ზღვა ულურჯესი, ერთიც ღელავს და მეორეც. ვაჟის გულიც ღელავს. ქალი და ვაჟი სულიერად სხვადან ნაპირთან. მხოლოდ ზღვა მღერის და შეზღუდეს აცის სახეში. აღარ იმჩნევდნენ ხელები მიიზიდნენ ერთმანეთს. მერე სიჩუმე.

ტალღები, ტალღები და კიდევ ტალღები...

განაბულა.

შორს ჰორიზონტზე თეთრი იალქნები ტალღებზე ცეკვავს. ვაჟი ვერ იტყვის ზღვის კეკლუცით მძლავრს. ქალი კი ზღვის ტალღებს თვალს ითვლის.

მერე ვაჟმა რაღაც უთხრა. გაიღიმა. ხელები არ იშორებენ ერთმანეთს. ზღვის ღელავს(?) კი ბინდი მოიპარება.

ზღვა უფრო შეჩერდა, ტალღებმაც უწყდენ... ღელდა გულიც.

— იცი, მიყვარხარ!

ხელები უჭერენ ერთმანეთს. ქალმა შეხედა. მერე თავი დახარა ძირს.

და ტალღა ტალღაზე ეხეთქება ნაპირს. წყნარდა ვაჟის პირველი ამბორი! ორი გული ზღვაზე უფრო ღელავს.

გივი ჯობაძე

ალიო მირცხულავა

ლექსთა ლალალი

გამოწვევა

ფრენა მიყვარდა ცაში, ქარებთან,
დავსტრიალებდი ღრუბლებს ზემოთი,
მზე მაინც ახლოს არ მიკარებდა
და ფრთებდამწვარი ძირს ვეცემოდი.

მე უკვდავების ცეცხლი მინდოდა,
დღეს რომ ანთია ცისკრად ქვეყნად,
გავვლე უკუნი უამინდოთა,
მზიურ ოცნებას ვარ მიღწეული.

მუდამ თან მახლდა ერთი იმედი,
სხვა მეგობარი მე არ მყოლია,
ვცოცხლობ იმედით — მოციმციმეთი,
შავი ზღვის ღელვა გამომყოლია.

სამშობლოს მკერდზე წამოშლილებმა,
გამომიზრდია ლაღი ლექსები,
შემომხარიან, როგორც შვილები,
მეც მშობლიურად ვეალერსები.

მათ მომიკიდეს გულზე გვრია
და მომიპოვეს ქვეყნად სახელი,
კიდიდან კიდეს გადაწვდენია
მათი გმირული გადაძახილი.

გული თუ გერჩის, — მზად ხარ ფარულად
მთელი ძალღონე მას შეალიო,
დღეს პოეზიის გახლავთ მარულა,
ლექსთა შეჯიბრში გიწვევთ ალიო.

არა კოდებით, თავგამოდებით —
ლექსმა ძლევის ხმით უნდა იგრგვინოს,
განა არ ძალუძს, — რახან წოდებით
უფლებოა და უგვირგვინო?

მე არ ვჩემულობ სხვაზე მეტობას,
არც თავის-თავის ქება მიწვევლის,
წესს არ დავუდებ ჩემს პოეტობას,
პონტოს ქვეყნიდან ვარ ოდიშელი.

ღამის დარაჯი

მესმის ნაბიჯი ფრთხილი, ქურდული,
სიჩუმე სუნთქავს გარეშემოთი,
ახსნა ვიღაცამ კარზე ურდული,
ღამის დარაჯი ბაღში შემოდის.

ჩემს ძილს დარაჯობს ავი მზაკვარი,
სახლის გარშემო დადის ჩურჩულით,
ფხიზლობს და ხელში, ცელის მაგვარი,
ძველი შაშხანა აქვს ჩაბღუჯული.

ნისლი ფითრდება, როგორც სნეული,
მწუხრი წვება და... წვიმს ნაწყვეტებით,
და სახურავზე შემოსეული
კრამიტს კენკავენ წვიმის წვეთები.

ჩამოიქროლა ქარმა სივით
და სივრცე შესძრა ზღვის თაღამდე,
ისე საზარლად ჩხავის ნიავიც,
თითქოს ღამეში სიკვდილს მარხავდეს.

უფრო ბნელდება ცა უამინდო
და ჩრდილი მოჩანს ჩემს ფანჯარაში,
ერთხელ იქნება — მეც არ დამინდობს,
ბოლოს მომიღებს ღამის დარაჯი.

მწვერვალები

გადატვირთული მძიმე ფიქრებით, —
აღმა ავდივარ მთაზე წვალებით,
შეუსვენებლად ძლივს დავიხრები,
ისევ მთებია და მწვერვალები.

მეგონა: ფიქრი ცხადად ვაქციე,
ახა! ცხოვრების წიგნიც დავხურე, —
დიდების კვარცხლბეკს მეც მივაღწიე
და წლებით განვლილ გზას გადავყურებ!..

ნუ დაგამშვიდებს ტახტი მაღალი,
სულო, პარნასის მთაზე ასულო!
შორს მწვერვალები მოჩანს ახალი,
გზაც უსაზღვროა და უსასრულო.

ნუ შეგაჩერებს ფიქრთა სიმძიმე,
სიმაღლის შიში და შეცბუნება,
სანამ გვიღიმის ცა მოციმციმე,
სანამ გვეძახის დედა-ბუნება!

შენმა თვალებმა...

შენმა თვალებმა რა წამსაც მნახეს,
უცებ დამიგეს წამწამთა მახე...
სხვებმა რა ნახეს ეგ შენი სახე,
წყრად დასხდნენ და ლექსები ჩმახეს.

მე კი მორჩილი ვარ შენი მონა,
შენა ხარ ჩემთვის ამქვეყნის წონა,
არც მინდა მეტი სიმდიდრის ქონა,
ლექსად გიძღვენი სიტყვების კონა.

გულის ჩივილი

დრომ არ დამინდო... ბედიც, იმედიც
თან ჩამიქრო და... დღენი მიქრიან,
ჩემ სიცოცხლეში, სიკეთის მეტი,
ცუდი არასდროს არ მიფიქრია.

არ მახსოვს: წუთით წარმომედგინოს, —
ან ჩამედინოს რამე ცოდვება,
ანდა ვინმესთვის გული მეტკინოს, —
ვიყავ გულუხვი, როგორც ბუნება.

სხვათა ღირსება გამხარებია,
სულისთქმა ხალხში გავანაწილე,
შრომაც მილხინია და მყვარებია,
ასე სამოც წელს გადავაცილე.

და მაღელვებდა, ტკბილიც და მწარეც,
მშობელ მამულზე ფიქრი, ოცნება,
თან მახლდა ყველგან, — შინაც და
გარეთ,
ქართველი კაცის პატიოსნება.

ყოველი გვერდი დღისა და ღამის
მზენებარე კალმით გადამიქარგავს,
ერთხანს მსუსხავდა მრისხანე ჟამიც
და რწმენა მაინც არ დამიკარგავს.

მე ცხოვრებაში სიმართლე ვთესე,
ქვეყნის მნათობად მზე მყოლდა ერთი,
ადამიანის ბედნიერ დღეზე
ვფიქრობდი მუდამ... და ლექსებს ვწერდი.

თანამგზავრი

უცებ დაირხა სივრცე ზღვასავით,
შესძრავს ყოველგან ცის მოტრფიალეს,
თურმე გამოჩნდა ერთი ვარსკვლავი,
ცისკრის ვარსკვლავის ირგვლივ ტრიალებს.

ალისფერი აქვს გადაფენილი,
გამოსხივებაც თითქოს მძლავრია,
დედამიწიდან გადაფრენილი, —
იგი ახალი თანამგზავრია.

ასე უცრად, მოულოდნელად,
ცის კაბადონზე მის გამოჩენას, —
ვარსკვლავთმრიცხველნი თვლიან
მოვლენად
და მიაწერენ დიდ აღმოჩენას.

და კოსმოსისკენ, როგორც წესია,
არის პოეტების ჭვრეტა ქურდული,
ის თანამგზავრი ჩემი ლექსია, —
გუშინ გავსტყორცნე შუქთა შურდულით.

მერცხალი

წვიმის ღრუბელი მზეს დასწოლია,
მესმის მერცხლების მწარე ჭღერტილი,
მეც არ მასვენებს ეს ქვასროლია,
ჩემს ფრთიან ლექსებს დასდევს
შურდულით.

იქნება გული ღვარძლით გაივსოს,
ქარში ფიქრებიც ვერ გაიქროლოს, —
ხმები საამო და სამაისო
გულქვას რატომ სურს ქვებით ჩაქოლოს?

მაგრამ, რაც უნდა მაღლა ავარდეს, —
ლაშურა მერცხლის ტოლი რით არი?
ვერ დაეწევა ცად მონავარდეს
შური და მტერი ვერავითარი.

მაშ, აქ მოფრინდი, მგოსნის ბინამდე,
ერთად ვიმღეროთ, მკვირცხლო მერცხალო!
გული გამითბე და გამინათე,
სულის ნათელო, მზის ნაპერწკალო!

აღთქმული მხარე

დავეძებდი აღთქმულ მხარეს,
გზა ფლოქავდა, როგორც ელვა,
მეხი სძრავდა არე-მარეს,
ცას კი — ცეცხლის მიმოცელვა.

გულში სხივებ-ჩაკონებით
გამოვყევი მზეს და მერე —
შრომითა და შთაგონებით
ამ ცხოვრების წიგნი ვწერე.

ეს აღთქმული ქვეყანაა,
მთები, ცა თუ ნაკადული,
ეს ეპოქა, ეს ხანაა,
ჩემი კალმით დახატული.

დარდი

აღარ მასვენებს მწვავე ტკივილი,
ვწუხვარ... დღეღამ გული მაწუხებს,
არ ესმით ჩემი გმინვა, ჩივილი,
არვინ საამოს არ მიპასუხებს.

არა! არ მშველის ამბრი, სურნელი...
ან და, რა არის აქ დასამალი:
დარდი მაქვს, დარდი განუკურნელი,
სიხარულია მისი წამალი.

გული

ჩვენი სიცოცხლე გულით იწყება,
გულით თავდება სიცოცხლის ბოლოც,
ნუ იცით გულის გადავიწყება,
კაცის იმედი გულია მხოლოდ.

ჩვენთვის ათენებს დღესა და ღამეს,
გულითვე სუნთქავს ეს დედამიწაც,
მე თუ დამიცავს ამქვეყნად რამე, —
მხოლოდ და მხოლოდ გული დამიცავს.

არ შეუკრთება მუხთალს ოდნავად, —
დროთა ავდრობას, ანამქერებას,
ნუ მიისევით გულს საკორტნავად,
ალერსში უყვარს მას ამღერება.

მიზანი

როცა გიტაცებს დიდი მიზანი,
უფრო დიდია მაშინ წყურვილიც,
უფრო შორს ხედავს ვარსკვლავთმისანიც
და მიზანს აღწევს ფრთებ-აშლილი.

კაცმა თუ მიზანს ვერ მიაკვლია, —
ვერც გზას გაიკვლევს, ვერც დაბინდდება,
ვისაც მიწაზე ფრთები აკლია,
იგი ზეცაში ვერ გაფრინდება.

წეროები

ქარმა ღრუბლების კოშკი წალეკა,
თითქოს დალეწა ელვის ხუნდები,
ცაზე გაბმული წალკა-წალკად —
მიისწრაფიან ნისლის გუნდები.

ღამე ქარბუქში გაუთევიათ,
განვლეს მთები და კენწეროები.
ნეტავი, საით გაუწევიათ,
სად მიფრინავენ ეს წეროები?..

ჩემი სოფელი

ახლა ღამეა... ალბათ, მთვლემარე —
სდუმან კოლხური ოდა-სახლები,
ციცინათლებით კრთის არემარე
და კანტიკუნტად ჰყეფენ ძაღლები.

ეს ნისლი, — ნამად თავზე რომ მესხმის,
თითქოს მშობლიურ ბუხრის ბოლია,
მტკვრის ხმაში ხობის ღელვა მომესმის, —
რაც ერთ დროს ჩემს ხმას გამოჰყოლია.

ეს მთვარეც ეხოს დასცქერის, ალბათ,
ახლოს, — ეს როგორც იცის ოდიშში,
დედას მაგონებს ჭიშკართან ალვა, —
ღამეს ათენებს ჩემს მოლოდინში.

ალბათ ისვენებს, დამკვიდრებული,
ყველა მოკეთე და მეზობელი...
და სიჩუმეში ჩაფიქრებული
მიგონებს ხორგა, ჩემი სოფელი.

თუ ვიმეორებ

მღერის კალამი ხმა-საამური,
ცხოვრებას ხატავს მრავალფერებად,
ხან მახვილია, ხან სალამური,
არ უწერია მას დაბერება.

და თუ ხანდახან შევწყვეტ ძიებას,
ნაცნობ სტრიქონებს თუ ვიმეორებ, —
გთხოვთ, ნუ დამძრახავთ!.. მეპატიება, —
ლექსებს ვიგონებ, როგორც მეომრებს.

სიამაყე

სახით, ასაკით, ხმით და ფერებით —
გამოირჩევა თვითონ ბუნება,
ყველა, მორჩილად და მოფერებით,
უმცროსი უფროსს ესალბუნება.

აი, ხეებიც ამ ფიქრებს მიაქვს,
დილა, დღეა თუ ღამის მწუხრია, —
ამპარტავნულად ჩამოვლილ ნიავს
თაყვანისცემით თავს დაუხრიან.

გათრობს ფიქრი და... დაჰფრენ ბარბაცით,
თან ყველა შენსკენ მოჰქრის, მოგელტვის,
ქარიც კი, ქარი ბარბაცს არ გაცლის, —
ამოგიდგება მკლავში ყოველთვის.

ყვავილს გაუწვდის ხეხილს ხეხილი,
სიყვარულია მათი ოცნება,
ვარდი ვარდს ეტრფის მკერდგაღეღილი
და სოსნებს შვენით გადასოსნება.

ჩვენც მოფერება გვიყვარს ასეთი,
გვინდა სიცოცხლე ლაღი, მზიანი,
სიბრძნით, სიმართლით, სილამაზეთი —
ბუნებას ჰბაძავს ადამიანი.

ყოველ კაცშია გული მზრუნავი,
მეტ სიტკბოს იჩენს, მეტ სიამაყს,
ჩემში კი, ჩემში... დაუთრგუნავი, —
საიდან არის ეგ სიამაყე?

ფიქრები

ცისკენ ფიქრები ისევ მიქრიან,
ქარში ფურცლავენ წიგნებს, ქაღალდებს,
გულის წყურვილი ვერ ჩამიქრია,
სულთქმა მაშფოთებს და მაღალდებს.

მოვარდა ღამე, ტყის გამთიშავი,
დამეხა ქარი ხმაჩაწყვეტილი,
ლექსსაც დაუსვა ელვის ნიშანი
და ვარსკვლავების მრავალწერტილი!..

ჩემზე იტყვიან

ჩემზე იტყვიან: იყო პოეტი,
სამოცი წელი ფიქრმა აწვალა,
მოელო სამშობლო და უცხოეთი,
მთელი სიცოცხლე ლექსს ანაცვალა.

გულითადობდა მართალ კაცებთან,
სადაც უპყრობდა ალღო და თვალი,
მარტოდ, ქუჩაში დაბარბაცებდა —
ღვინით კი არა — ფიქრით დამთვრალი.

ეს მეათასე...

ისევ სიცოცხლის ძახილი მესმის,
ჩემი ოცნების ჰკრმა იმატა,
ეს მეათასე ცოცხალი ლექსი —
ფიქრთა წიაღში დღეს დაიბადა.

ვეტრფი და ვაყრი ია და ვარდებს, —
მე დამემსგავსოს გვარით, იერით,
მაღლ მზრებს გაშლის, გაინავარდებს, —
შვილთა სიმრავლით ვარ ბედნიერი.

ეს არის ჩემთა ცათა მპყრობელი,
ჩემი ხალისი, ჩემი ფრინველი,
ჩემი სიკეთის მახარობელი,
და სიხარულის მიმომთესველი.

იშვა სიცოცხლე მზის მონატრული,
სახლში მზის ფერიც დახვავებულა
და ჩემს კედლებზე მიმოხატული —
თითქოს ვარდებიც აყვავებულან.

შემოვა მზეც და... ჩვილს აიტაცებს,
თან შუქთა თითებს მხარზე დამადებს,
ან ჩემს სუფრაზე, ჩემს მაგიდაზე —
ამაზე უფრო ვინ მითამადებს?

და განა ფიქრით, მთვრალი ვარ ღვინით,
ისევ გამივსეთ ეგ საწყაული,
მინდა ავუნთო ნამდვილი ლხინით
ამ დაბადების დღესასწაული!

ბოლოთქმა

აი, ლექსებო! — გულის ღაღადი,
სიტყვებს ვანთებდი, აზრი ვამღერე,
სხივთა მზენებარე ფუნჯით ნახატი, —
მუდამ გაუძლებს ფიქრთა ნამქერებს.

და თუ მზესავით დრომ გადამხაროს,
ლექსსაც დააკლდეს შუქთა სტრიქონი, —
არ დამბინდდება ჩემი საუკარო,
ჩემი ცხოვრების ქორონიკონი.

ისევ იმედით ვეტრფი მომავალს,
რომ გადავშალო დღე სახვალიო,
და ისევ მრავალს, მზით ამომავალს, —
ახალ ალიონს ელის ალიო.

13/VI—5/VII, 1965 წ.

„ლეკვი ლომისა"

შალვა რადიანი

ლევან გოთუა უმთავრესად ისტორიული თემების მწერალია. მხატვრული ლიტერატურის ამ სახეობაში მან შექმნა მრავალი საგულისხმო ნაწარმოები. იგი მარტო ვრცელი ისტორიული რომანის — „გმირთა ვარამის" ავტორი კი არ არის, არამედ ფრიად საინტერესო ისტორიული მოთხრობებისაც („ქვის ხორბლი", „კრწანისის ხევდა", „უზიო ქარავანი", „სიბრძნე სიცრუისა", „ხინძთის ზარი", „ცეწყვიტის ანგელოზი"). მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მარტოოდენ ისტორიულ წარსულში იყოს ჩაკეტილი. ამავე დროს ლ. გოთუა ავტორია თანამედროვეობისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებებისა.

ლევან გოთუას რომანი „ლეკვი ლომისა", ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებია როგორც თემის, ისე პრობლემის თვალსაზრისით. ავტორმა ყურადღების ცენტრში დააყენა ქართველი ახალგაზრდობის ყოფა და, აგრეთვე, ჩვენი ლამაზი ბუნების, ტყის მოვლა-გამოყენებისათვის ზრუნვა. ნაწარმოების სიუჟეტი უაღრესად თავისებური და რთულია.

„ლეკვი ლომისა" მთავრდება დამაფიქრებელი სიტყვებით: „ამ „დიდი პაექრობის" უმთავრეს ნაწილს დასასრული ჯერჯერობით არ გააჩნია. ჯერ ტაშისკარის შეუპოვარი ბრძოლაც გრძელდება. მის სიმწვავეს ყველგან იგრძნობს ყველა თაობის კაცი, ვისაც ამის უნარი არ დაუკარგავს. ქართულ ტყეს ჯერ კიდევ ღრღნის [illegible]. არც უწყინარი და ფუქსავატი ახალგაზრდების [illegible] ნათია და ნაფუქი აღმოფხვრილა ჩვენში. „ხვალინდელი დღე კი მთელი თავისი მრავალი მისწრაფებებით და [illegible] თვალდათვალ დგება და ჩვენმა ახალგაზრდობამ, ახლა თავად უნდა გასცეს პასუხი, ვისთვის თავდება ძველი წელი და ვისთვის იწყება ახალი?!" არსებითად ეს ღრმა მნიშვნელობის სიტყვები წარმოადგენს ლეიტმოტივს, განმსაზღვრელს რომანის მთელი სიუჟეტური ხაზისა. შეიძლება ითქვას, რომ „ლეკვი ლომისა" პრობლემური, რთული კომპოზიციური ნაწარმოებია.

ლევან გოთუას ნაწარმოებში მოქმედება უპირატესად ბუნებაში მიმდინარეობს. მაგრამ ბუნება რომანში უმიზნოდ, უაზროდ არ არის შეტანილი, იგი მთლიანი მხატვრული ქარგის ორგანული ნაწილია. ბუნებაში მწერალი ხედავს გონიერ შემოქმედების საწყისს. ბუნების გამოხატვა ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანთა ცხოვრებასთან, იგი ძირეული გრძნობების დედაბოძია.

ლევან გოთუას რომანში პეიზაჟის ფუნქცია დაკავშირებულია ფილოსოფიურ გააზრებასთან. მისი შემოქმედების ფილოსოფია ემყარება ბუნების, ადამიანის და საზოგადოების ერთიანობას. მაგრამ ადამიანისა და ბუნების სიახლოვე არ გულისხმობს პანთეისტურ განფანტვას ბუნებაში, არც პასიურ ჭვრეტას ბუნებისა, არამედ ემსახურება მისი მრავალფეროვანი, მდიდარი სამყაროს გახსნას. ბუნება ფსიქოლოგიური დახასიათების საშუალებაც არის. მკითხველი შეამჩნევს, რომ ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი პეიზაჟების, სურათების სიმრავლის მიზეზი ბუნების დეკორატიული, გარეგნული ჩვენების მისწრაფებით მწერლის გატაცება არ არის. „ახლა შუა ნაძვნარში ვართ. მას „უღრან დედოფალს" ვუწოდებ. და მართლაც, რას ემსგავსებოდა დედამიწა, ტყე რომ არ ამშვენებდეს?" ტყის ხალხის მიმართ რაღაც დიდი დედური გრძნობა აქვს. თუმცა ჩვენ კი ხშირად სწორედ მის მიმართ „[illegible] უძღებ შვილობას".

დიდი ემოციისა და განცდების გამომწვევია რეალისტურად დახატული ბუნების სურათები. „ნაძვის ზვიადი კორომი, თითქოს ქვაში გამოკვეთილივით, უძრავად ჩასდგომოდა შემოგარულ მთის ფერდებს. სულ ქვევით, ჩაწვრილებულ და ჩამწვანებულ ძაბრის ძირში [illegible] ტბის ელვარე კალო — დიდი ჩავერცხლილად იდო. ირგვლივ ტყეების წყალში არეკლილადაც და ცაში აზიდულადაც აჩნდა". გამოკვეთილი და მკაფიო სურათია. ნაწარმოებში ბუნების უფრო განსაცვიფრებელი სურათებიც შეინიშნება, სადაც წმინდად გეოგრაფიისა და ისტორიის, ბუნებისა და ხელოვნების საზღვრები. დაუვიწყრად არის დახატული მომაკვდავი ხეების სურათები: „ზეზეურად ტანდახვრეტილი, უკვე შეხმარი, [illegible], ტოტებდახრილი, ახოვანი ნაძვები უკანასკნელი [illegible] იდგნენ და გაქვავებულ, ჩამქრალ [illegible], მათ ფერხთით თუ ირგვლივ. უდღეური ყვითელი, [illegible] მოხარულები, ჩახერგილი, ჩაღეწილი ხორგები, ყველაფერი ერთმანეთში არეულად, [illegible] იყო მიჯრილი, [illegible]". ბუნების ეს სურათი არ არის თავისთავადი მნიშვნელობისა, იგი დაკავშირებულია ცხოვრებისეულ მოვლენებთან.

წარმტაცად არის წარმოდგენილი მზის, მთის, ტყისა და ნაკადულის სურათები: „მზე [illegible] ოსტატურად ადგა თრიალეთს. მისი ბრიალა ფუნჯი ჯერ ლომის მთისა და კოდიანის განზებულ [illegible] ედებოდა. მერმე უფრო დაბალ ქედების მხრებსა და კალთებზე უსწორმასწორო, შავ-მწვანე ნაბდებად მოხურულ ტყე-წიწვნარს ავერცხლებდა. ახლა ხეობებში ჩაკლაკნილ, ხმლებივით მოჭრილ ნაკადებს ფერსა და ელვარებას უმრავლებდა. სულ ქვევით მტკვრის ხეობის ფსკერზე მდინარესაც და ლიანდაგსაც ნათელ სვეტებად მოჰკვებოდა... ტაშისკარშიაც მზე კადნიერად ჩამდგარიყო".

მოქმედ პირთაგან რომანში მთავარ ყურადღებას ნათია და გაგა იქცევენ.

ნათია მკითხველის წინაშე წარმოსდგება, როგორც გამოკვეთილი ინდივიდუალობა, ცხოვრების თავისებური შეგრძნობით. იგი გარეგნულად ლამაზი და მიმზიდველია, თამამია, ნათელი აზროვნება აქვს. ჯიუტი ხასიათიც ადრევე განუვითარდა. „ყოველგვარ საიდუმლოს ათვისების უნარი და გარეგნული სილამაზე [illegible] უქმნიდა, ხოლო მრავალფეროვანმა ნიჭმა და [illegible], ზრდილობიანი სიამაყე და უკარება საქციელი შემატა". იგი ხან ხატავდა, ხან ძერწავდა, ხან ხალიჩაში მუშაობდა, ყველგან ნიჭს ამჟღავნებდა, მაგრამ დიდხანს გულს ვერაფერს უდებდა. „ერთხანს სწავლობდა და მუშაობდა, მერე მუშაობამ თანდათან დასჯაბნა სწავლა. მუყაითობა და გულმოდგინეობა აღარ ეყო და სწავლას ხელი ჰკრა. თან ხატვის ხელმძღვანელთან მოუვიდა მწვავე დავა, თავისი ახალი თემის შერჩევისა და [illegible] შესრულების გამო. ახლა სულ გაუბზარა [illegible] გული. კარგად ვერც გაერკვია, ეს მიზეზი იყო თუ უკვე შედეგი... ბოლოს სულ გაწყვიტა მან სწავლა". სკოლისა და აკადემიის ტოლ-მეგობრებს თანდათან ჩამოშორდა, ახლის არჩევის [illegible]. იგი იყო ოცნების ქალი. „უოცნებოდ... ახალგაზრდას ისევ არ შეუძლია ყოფნა, ვით უჰაეროდ". მან მრავალი [illegible] და [illegible] გამოიცადა. იგი მაძიებელი ბუნების ქალია.

გაგა ახოვანი თავისებური სახეა თანამედროვე [illegible], წესიერი ახალგაზრდის, იგი მზად არის ყველაფერი გააკეთოს ქვეყნისა და ადამიანებისათვის. გაგა გულწრფელი და თავდადებულია, შრომობს და ეძიებს ახალს, სასარგებლოს. მისი მისწრაფებაა ტყეში გაჩენილი მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებები აღმოაჩინოს. ამ თემაზე მას სადისერტაციო ნაშრომიც აქვს მომზადებული. მაგრამ ერთ მომენტში იგი დაეჭვდა მის მიერ დასახული ღონისძიებების ღირსებაში და უკანდაუხევლად უარყო თავისი ნაშრომი. როგორც ნათიას მამა წერს, გაგას „აქვს ყამირ მიწის [illegible] და ბუნების საკმელის მადლი". დაავადებული ტყე მასში დიდ სევდას იწვევდა და [illegible] უფრო ამახვილებდა მის მაძიებელ სულს. „შორეულ ტურისტებთან მდგარ გაგას კი, ღიმილის გარდა, სევდიც წრფელ ედებოდა გულის ფიცარზე. მოსულთათვის ეს ტყეთა ტყე წარმტაცი და ზვიადი სანახაობა იყო, მისთვის კი [illegible] და საჭირისუფლო, მძიმე სნეული". იგი უსაუბრებს თავისთავს და საგულისხმო აზრებს გამოთქვამს, სასარგებლო, საჭირო სიახლეს თანაუგრძნობს, მაგრამ ამავე დროს ჯანსაღი ტრადიციების მომხრეა. „ჩვენ ჩვენი ღირსეული თაობების, ღირსეული შთამომავლები უნდა ვიყოთ. ჩვენ უაღრესად გვჭირდება ყოველდღიური თავდადებული მოქალაქეობა და ხალხის შვილობა, შემოქმედებითი მეცნიერება, ყველა დარგის ახალ მიღწევათა დაუფლება, დაქართულება. ჩვენი ბუნების, ძეგლების, ენის შეგნებულად და ფხიზლად დაცვა, ძველთაგანის ყველაფერ კარგის შენარჩუნება, გამრავლება, ახალ-კარგის დანერგვა, [illegible] თვალისჩინივით მოვლა, მრავალშვილიანობის აღდგენა. ხოლო [illegible] წინსწრაფულობა, სხვა დანარჩენის ხარჯზე, ჩვენ არ გვარგებს. აბა, „ქუჩა-რაინდობის რაინდობაზე" რომ რაღა ითქმის?!", გაგა პრინციპულია, ავტორიტეტებსაც შეებრძოლება, როდესაც დარწმუნებულია თავის სიმართლეში. იგი არ იხევს უკან, როდესაც ცდილობს საფუძველზე [illegible] თავისი მეცნიერული საქმე. მისი აზრით, მოაზროვნე ახალგაზრდას გარკვეული მრწამსი უნდა ჰქონდეს. იგი ნათიას მიმართავს: „შენ ნიჭი უხვად გაბადია, იდეურობა კი პირველ [illegible] არ მიგაჩნია! სწორედ ის, რაც ჩვენს [illegible] დიდად ჰქონდათ და სამაგალითოდ დაგვრჩა".

რომანის მთელ მანძილზე გასდევს ნათიასა და გაგას შორის თავისებური პაექრობა, რაც ზოგჯერ ერთგვარ კონფლიქტშიც გადადის, მაგრამ ბოლოს ისინი მაინც გაუგებენ ერთმანეთს, ერთად იწყებენ ბრძოლას ახალი ცხოვრებისათვის, საქვეყნო საქმისათვის, უკეთესისა და ძვირფასისათვის. „მაშ, ხვალე უკვე დღე არის?" გაგამ კი ქვევით, ტყისაკენ გაიშვირა ხელი. „მაშ, ათი ათასი? ხეთა ანგარიში დღეიდან ვიწყებთ". „დაიწყე! და ნათიამ სადღაც ფიქრისა და სიტყვის ზღვაზე, სულ ჩუმად ჩაათავა, — ოღონდ შენთან ერთად!" „ქალი მონუსხულივით იდგა. სანთლის ფერი გაქრობოდა, თითქოს მასაც გულის სიღრმიდან [illegible] სხივი ამოხფენოდა, შუბლზე, თვალის უპეებში, ღაწვებზე მოკიაფე წინწკლები [illegible]". დიახ, გაგას დახმარებით, გაგასთან ერთად ნათიამ აირჩია ღირსეული სამოღვაწეო ასპარეზი, შემოქმედებითი შრომის გზა.

ლევან გოთუა ტყის ფრინველთა, ცხოველთა და ფაუნის შესანიშნავი მცოდნეა, ყველაფერი ეს რომანის სიუჟეტურ ქარგაში ორგანულად არის ჩართული.

ამ ნაწარმოებში ყურადღებას იქცევს მრავალ მნიშვნელოვან პრობლემაზე საუბარი, მაგალითად, სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთობაზე, თაობათა მიერ ცხოვრების მოვლენების გაგებაზე, სხვადასხვაგვარ ახალგაზრდობაზე, [illegible] შეგრძნებასა და მოულოდნელობაზე, მეცნიერების დანიშნულებაზე, გმირის ბუნებაზე. ამ უკანასკნელზე რომანში ვკითხულობთ: „გმირი ის არის, რომელიც დროის მოთხოვნის სიმაღლეზე აღმოჩნდება, აუცილებელსა და უმრავლესთა სასიკეთოს უანგაროდ და თავდადებულად მოიმოქმედებს". რომანში ვხვდებით სადავო, მკვეთრ აფორიზმებსაც: „დიდი ნიჭი — დიდი უბედურებაა", „ცხოვრებაში მხოლოდ უნიჭოები არიან ბედნიერები".

ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი თავისებურებაა ლაკონიზმი, მომჭირნეობა მხატვრული საშუალებებისა. მწერალმა უნდა ილაპარაკოს მხოლოდ იმაზე, რაც აუცილებელია. დღევანდელ მკითხველს მხატვრულ ნაწარმოებში თვითონ კარგად ესმის ბევრი რამ, ვრცელი კომენტარები, განმარტება და კარნახი საჭირო არ არის. ლევან გოთუას პროზის დამახასიათებელი თვისებაა თხრობის სიმჭიდროვე, ზუსტი არქიტექტონიკა, ლაკონიზმი, ფსიქოლოგიური დახასიათება.

ლევან გოთუა რეალურ ცხოვრებას წარმოგვიდგენს გმირთა შინაგანი განცდების, ამ განცდების პროცესის ჩვეულებრივი თვალისათვის თითქოს შეუმჩნეველ ნიუანსებში, გამოხატვით. გმირის ქცევა ყოველთვის მოტივირებულია ფსიქოლოგიურად. იგი ამისათვის მრავალნაირ ხერხს იყენებს. ფსიქოლოგიური ანალიზი დიალოგით ვითარდება. მომქმედი პირების ცოცხალი [illegible]. დიალოგში კი მიმდინარეობს დახასიათება. არსებითად დიალოგი წარმართავს სიუჟეტურ ხაზს. რომანის პირველივე სტრიქონები იწყება მამისა და შვილის დიალოგით. ამ დიალოგში მჟღავნდება ორი შეხედულება ცხოვრებაზე, ადამიანებზე, ძველსა და ახალზე.

დიალოგის გვერდით რომანში გვაქვს მონოლოგის ფორმები, შინაგანი მონოლოგი. ფსიქოლოგიური დახასიათების მონოლოგური ფორმა აკავშირებს, ერთ მთლიანობაში აერთებს გმირის ცალკეულ შეგრძნებას, განწყობილებას, რაც ხშირად გარეგნულებულია ავტორის პირადი თქმებით. ამგვარად, ლევან გოთუა თავის რომანში ფსიქოლოგიური დახასიათებისას მონოლოგსაც მიმართავს და დიალოგსაც. მაგრამ ამ ნაწარმოებში გმირის სულის ანალიზს არა აქვს დამოუკიდებელი, თვითმყოფადი მნიშვნელობა, არასოდეს არ შორდება მოქმედებას. გმირის განცდები იმდენად არის გაშლილი, რამდენადაც ეს აუცილებელია ხასიათის ცხოვლად ჭვრეტისათვის.

ყოველ ჭეშმარიტ მწერალს აქვს თავისი საკუთარი ენობრივი მანერა. ასევე ლევან გოთუას პროზაში საერთო-სახალხო ენა გარდაიქმნება ინდივიდუალურ სტილად. იგი სიტყვას აძლევს ახალი აზრობრივი გამოთქმის ნიშნებს.

ლევან გოთუას ნაწარმოებში ყურადღებას იქცევს პორტრეტის ხელოვნება. იგი მოკლე, ზუსტი და გამომსახველობითია.

„ლეკვი ლომისა" სხვა მრავალი დადებითი მხარეების მქონე ნაწარმოებია. თავისი აქტუალობით და მხატვრული ღირსებით ეს რომანი ღირსეულ ადგილს დაიჭერს თანამედროვე ქართულ პროზაში.

ჩემი ბავშვობის დროს კათოლიკეთა ეკლესიაში მღვდელი დონ-დამიანე [illegible] ქალაქის ყოველ ბავშვს უყვარდა. ახლა რომ ვეცქირდები, მივიცებ ის დამოკიდებულება, რომელიც მაშინ კათოლიკე პატრს ჰქონდა ხალხთან. ჩვენ მესხეთის ქუჩის (ახლა ნინოშვილის ქუჩა) ბოლოში ვცხოვრობდით. იქიდან კათოლიკეთა ეკლესიამდე ოთხ-ხუთი კილომეტრი მაინც იქნება. იმდენ შესანიშნავ ამბებს გვიყვებოდა ეს „ფრანგების მღვდელი", რომ ჩვენ, ამ სიშორიდან მაინც დავიარებოდით მასთან. სხვათაშორის თითქოს იგი ნაკლებად ეხებოდა რელიგიის საკითხებს. მისი თემა იყო საქართველოს ისტორია, კერძოდ ცნობილი ისტორიკოსის თამარაშვილის ნაწერების მიხედვით ამბების მოყოლა. ჰო, როგორ გვიყვებოდა პატრი დონ-დამიანე ამ ამბებს? ახლაც თვალწინ მიდგას კათოლიკეთა ეკლესიის ულამაზესად ცად აწვდილი ნაძვის ხე, მის სამ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 26, 27, 28.

ლუქმანი და პროფესორი

შამილ ახალიანი

ხრეთით იყო იოსებ ოქროპირის სახლ-კარი (იგი ჩემი ნათლია იყო, რაც რასაკვირველია, მეტად საამაყოდ მიმაჩნია). იქვე დადგებოდა დონ-დამიანე და დაუღლელად გვიყვებოდა ჩვენი სამშობლოს [illegible] ისტორიას. განსაკუთრებით მღელვარედ იცოდა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ამბების მოყოლა. ჩვენც, წარმოშობით მართლმადიდებელი ბავშვები, რომლებიც მეტად ათეისტურად ვიყავით განწყობილი, სულგანაბული ვუსმენდით პატრს. მაშინაც კი, როცა წამოვეზარდეთ დონ-დამიანე საინტერესო მოსაუბრედ დარჩა. (მან ხუთამდე უცხო ენა იცოდა) მახსოვს კოკოჩაშვილების ოჯახში მეგობრულად იყვნენ უშანგი ჩხეიძე, ალექსანდრე მიქელაძე, სერგო ზაქარიაძე, შერი დავითაშვილი, ალექსანდრე გომელაური. ეს სახლი სწორედ კათოლიკეთა ეკლესიის ეზოს წინ მდებარეობს. ეზოში კი ცხოვრობდა მსახიობი კაპიტონ აბესაძე. ჩვენ ყველანი ხშირად გადავდიოდით კაპიტონთან. ხან საზამთროს [illegible] კაპიას, ხან პელო გაბუნიას (კაპიტონის მეუღლე მსახიობი ქალი) ხაჭაპურს გამოვაცხობინებდით. დონ-დამიანე ყოველთვის შეგვაჩერებდა ეკლესიის ეზოში გავლის დროს. უშანგი ყოველთვის მოკრძალებით უსმენდა მის საამბოს. სერგო ზაქარიაძე, რომელიც სიჭაბუკის ჟამს ნიჭიერებასთან ერთად, მეტად დაუდეგარი იყო, დიდი გულისყურით უსმენდა მღვდელს. თვით კოტე მარჯანიშვილიც არაერთხელ მინახავს დონ-დამიანესთან საუბარში ჩართული. ამ ეკლესიის ეზოში კათოლიკე ბავშვთათვის სკოლა იყო გამართული. აქ აწყდებოდნენ მუსიკას და ფრანგულ ენას. ყველა იქ აღზრდილმა თავისუფლად იცოდა ფრანგული ენა. სიმონის [illegible] სკოლაში იზრდებოდნენ. მათ მეზობლებთან ერთად შესანიშნავად ისწავლეს ფრანგულიც. ბაბუა სიმონის დაჟინებით ოჯახში გერმანული და რუსული ენის გაკვეთილებსაც იღებდნენ ბავშვები. ამიტომ სიმონ ხეჩინაშვილმა (შვილიშვილმა) უზადოდ იცის სამივე ეს ენა. მან თბილისში გადმოსვლის შემდეგ თავისი სურვილით ხელი მოჰკიდა ინგლისურს და ახლა, სხვა უცხო ენებთან ერთად, ეს ენაც საფუძვლიანად შეისწავლა.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორად (თავისი სურვილით) ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე იყო. სიმონი სწორედ ამ სასწავლებელში სწავლობდა. როდესაც ერთ-ერთი გამოცდის დროს მელიტონმა, რომელსაც ეტყობა თვალში მოუვიდა ლამაზი ყმაწვილი, ჰკითხა: „შენ რა გინდა, ბიჭო, გამოხვიდე?", სიმონმა ამაყად, თავაწეულმა უპასუხა:

— ბატონო მელიტონ, მე უსათუოდ ექიმი გავხდებით.

მელიტონი გააკვირვა ამ პასუხმა.

— ბიჭოს! აბა ამ სკოლაში რა გინდოდა, აქ ექიმი როგორ გამოხვალ.

— მამაჩემის ხათრით ვსწავლობ მუსიკას, ბატონო მელიტონ, დამიჯერა და ვსწავლობ, ისე კი აუცილებლად ექიმი უნდა გავხდე — არ დამალა და გულწრფელად უთხრა დიდ მელიტონ ბალანჩივაძეს მოწაფე სიმონ ხეჩინაშვილმა. როგორც ხედავთ, მუსიკალური განათლებაც აქვს მიღებული სიმონ ხეჩინაშვილს. შეიძლება ეგეც იყოს ერთი მიზეზი იმისა, რომ სიმონი ადამიანთა სმენის ორგანოს ასე დიდი ინტერესით ეკიდება. მართალია, ყურის საჭიროება ისე ვინ იცის, როგორც მუსიკოსმა. რასაკვირველია, სიმონი არ იყო მუსიკისთვის დაბადებული. მაგრამ არ შეიძლება ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დაწყებითი სკოლის მოსწავლე იყო (დიდი ხნის მანძილზე ამ სკოლას [illegible] ქალი ხელმძღვანელობდა), ფალიაშვილების სახლ-კარში გაიზარდო, მელიტონ ბალანჩივაძის მოწაფეობა იგემო და მუსიკის ავანჩავანი მთელი სიღრმე-სიგანით არ იცოდე. აბა რა გასაკვირია, რომ საექიმო მეცნიერების შესწავლის დროს სიმონ ხეჩინაშვილი სწორედ იმ ორგანოს ღრმა შესწავლას შეუდგა, სმენა ხომ მუსიკასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაკავშირებული. ფალიაშვილის [illegible] მუსიკა სმენადაკარგულ ადამიანებისათვის გაუგებარი რომ არ დარჩენილიყო, აქ თითქოს ბუნების რაღაც იდუმალების ძალით სიმონ ხეჩინაშვილი მოევლინა ადამიანებს მხსნელად. თითქოს ჩვენგან წასულ ზაქარიას, სიმონ ხეჩინაშვილისთვის (პაპისთვის) ეთქვას:

— აბა, მეც იქ ვსწავლობდი და ვუკრავდი, სადაც შენი შვილიშვილები იზრდებიან. მე მუსიკა ყველასათვის დავწერე. შენ ექიმი ხარ და, სხვანაირად [illegible] ქართველ კაცს რომელიმე შენმა შთამომავალმა უმკურნალოს, ჩემი ჰანგების სიტკბო გაიგოს, მისი გული არ დაუკარგოს, განა შეიძლება ქართველი კაცი ისე წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ მუსიკა არ მოისმინოს?

დიახ, ჭეშმარიტად სიმონ ხეჩინაშვილის შვილიშვილმა, იგივე სიმონ ხეჩინაშვილმა, ნამდვილად დიდი მეცნიერული [illegible] ხელი მოჰკიდა ამ დიდ საქმეს და გაიმარჯვა კიდეც.

სხვანაირი კაცია ახალგაზრდა სიმონ ხეჩინაშვილი, როგორც იტყვიან, კბილიანი კაცი. რასაც ამოიჩემებს, ხელს ვერ გაუშვებინებ. სიყმაწვილიდანვე ესმოდა დიდი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის სახელი. სტუდენტობაშივე ფიქრი და აზრი ბერიტაშვილის მეცნიერული ნექტარით გაეჟღინთა. დაამთავრა ინსტიტუტი და ამ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ადამიანს მიაკითხა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ვინც რას ეძებს, უსათუოდ მას იპოვნის. სიმონმა ათი წელი იმუშავა სმენის ფიზიოლოგიაზე. მთელი ამ ათი წლის მანძილზე იგი უდიდესი სიყვარულითა და მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიის დახარჯვით ილტვოდა ახალი რამე ეთქვა ამ დარგში. რასაკვირველია, ამ საქმეში მას თავისი განათლება — ენების ცოდნა დიდად უწყობდა ხელს. რაც კი რამე ლიტერატურა არსებობდა რუსულად თუ გერმანულად, ფრანგულად თუ ინგლისურად, ხეჩინაშვილს არ გამოპარვია. ახალგაზრდა მეცნიერს თვით დიდი მოაზროვნე ბერიტაშვილი ყოველმხრივ ეხმარებოდა. ბუნებრივია, სიმონ ხეჩინაშვილი მის მოწაფედ თვლის თავს და ამით ამაყობს კიდეც. ნიჭიერებამ და ენერგიულმა შრომამ თავისი გააკეთა. მან შესანიშნავად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მისი შრომა „Вестибулярная функция" ამ დარგში მეტად საინტერესო მეცნიერულ ნაშრომად ითვლება. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ კოსმონავტიკის შესწავლის საქმეში ამ ნაშრომს საკმაო მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ყოველი კოსმონავტი სიამოვნებით ეცნობა მას, ყოველმა მათგანმა თითქმის ზეპირად იცის ამ ნაშრომის ბევრი ადგილი.

მომავალი მაინც წინ იყო გასავლელი. სიმონი როდი ეკუთვნის ახალგაზრდების იმ წყებას, ერთხელ მოპოვებული მიღწევით რომ კმაყოფილდება. არა, მას წინ ედო დიდი გზა, გზა ვაჟკაცობისა, გზა ბრძოლისა და გამარჯვებისა. ხეჩინაშვილმა კარგად იცოდა, რომ დიდ მეცნიერულ აღმოჩენებს თავგანწირული შრომა და გამჭვალავი გონება სჭირდება. უამისოდ მეცნიერებაში, იმერულად რომ ვთქვათ, „ერთ ფეხსაც ვერავინ გადადგამს". ამიტომ იგი დღესა და ღამეს ასწორებდა, რათა განზრახული ბოლომდე შეესრულებინა. მან საფუძვლიანად შეისწავლა ყურის ლაბირინთის გაღიზიანებისას ელექტრული ეფექტები, რომელიც ამ დროს თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში აღმოცენდება. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ, როდესაც სიმონ ხეჩინაშვილმა ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გამორკვეული დიდი ტვინის ქერქის მონაწილეობა ვესტიბულარულ ფუნქციების განხორციელებაში, ე. ი. მეცნიერები ჯერ კიდევ ორჭოფობდნენ ამ საკითხზე. ამასთან ერთად, ახალგაზრდა მეცნიერმა პირობითი რეფლექსების მეთოდიც გამოიყენა. მართალია, მანამდე არაერთ ავტორს ჰქონდა შემუშავებული პირობითი რეფლექსების როლი ცხოველთა პასიურ მოძრაობაში, მაგრამ სრულებით გაურკვეველი იყო ვესტიბულური და მოძრაობითი ანალიზატორების როლი ამ რეაქციების მექანიზმებში. ამის გარკვევა და გამოკვლევა მეტად საჭირო და საინტერესო იყო ნამდვილი მეცნიერებისათვის. აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილთან ერთად მან დაადგინა და იმუშავა ადამიანის მიერ სივრცეში ორიენტაციის საკითხში ლაბირინთის როლზე. გაარკვია და დაადგინა, რომ ყრუ-მუნჯები, რომელთა ლაბირინთები არ ღიზიანდება ე. ი. მათი გაღიზიანება გარე სამყაროს მოვლენებით არ ხდება, გაცილებით უარესად ერკვევიან სივრცეში, ვინემ ნორმალური ვესტიბულური ფუნქციის მქონე ადამიანები. ეს საკითხი დაამუშავა სიმონ ხეჩინაშვილმა. მის მიერ დასტამბული წიგნი „ვესტიბულური ფუნქცია" გამოვიდა 1958 წ. ამ ნაშრომმა ბრწყინვალე შეფასება მიიღო საბჭოთა კავშირის გამოჩენილ მეცნიერ ექიმებსა და ფიზიოლოგებში. საინტერესოა პროფესორ მინკოვსკის რეცენზია ამ ნაშრომზე, რომელიც 1959 წელს ჟურნალ „ვესტნიკ ოტორინოლარინგოლოგიის" მეექვსე ნომერში დაიბეჭდა. იგი ამ ნაშრომს საუკეთესო შეფასებას აძლევს.

სიმონ ხეჩინაშვილს არაერთი გამოკვლევა აქვს აგრეთვე სმენის მეთოდების გაუმჯობესების საქმეში. მან ბევრი სიახლე შეიტანა ხახის ლიმფა უჯრედური ქსოვილების ფიზიოლოგიის საკითხში და სხვ. ასე რომ, ახალგაზრდა მეცნიერის ცხოვრება ჯერ კიდევ წინ არის.

პროფესორი ხეჩინაშვილი იცნობს ინგლისის და გერმანიის მეცნიერთა მიღწევებს. იგი კარგა ხნით იყო მივლინებული ამ სახელმწიფოებში და აკვირდებოდა ყველაფერს, რაც [illegible] საჭიროა დღევანდელობისათვის. სიახლე კი ბევრი რამ არის უცხოეთში, საინტერესო ის არის, რომ ზოგიერთი ჩვენთვის უცნობი აპარატი ხეჩინაშვილმა თავისი ხელით ჩაიხაზა, ჩახატა და ჩვენს ქარხნებს შეუკვეთა, გაუმჯობესებული კონსტრუქციით გააკეთებინა ეს აპარატები.

1961 წელს მსოფლიო ოტორინოლარინგოლოგების პარიზის კონგრესზე პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მის მიერ ჩატარებული ცდები და სამეცნიერო-საკვლევი გამოკვლევები კონგრესის აქტიური მსჯელობის საგანი გახდა. ჩვენთვის, საბჭოთა ქართველი ადამიანებისათვის, უსათუოდ საამაყოა ასეთი ადამიანების ღვაწლი, არაერთ ქართველ კაცს, თუ, მართლაც, მას გულით უყვარს თანამედროვე საქართველო, ეჭვი არ შეეპარება, რომ ჩვენ სწორედ დიდი აზროვნების ადამიანები გვჭირდება. მართალია, ჩვენი წინაპრები ბრწყინვალეთა შორის უბრწყინვალესი [illegible] იყვნენ. მართალია, ლელო, ბურთი თუ ჩოგბურთი, ცეკვა, ჭიდაობა თუ ისრის ტყორცნა ქართველ კაცს არ უჭირდა, მაგრამ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, მაინც იოანე პეტრიწონელის, არსენ იყალთოელისა და საბა ორბელიანის სამშობლოა, ჩვენი მამული დიდთა შორის უდიდესი მოაზროვნის შოთას მშობელი ქვეყანაა. სწორედ ამიტომ არის სასიამოვნო, როცა ქართველი კაცი მსოფლიო მოაზროვნეთა და მეცნიერთა ფორუმებზე თავის სიტყვას იტყვის და მის სიტყვას წონა და მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვის ოტორინოლარინგოლოგების სამეცნიერო საზოგადოების პლენარულ სხდომაზე რომელიც 1963 წელს გაიმართა, სიმონ ხეჩინაშვილის გამოსვლა ღირსშესანიშნავ მოვლენად იქნა მიჩნეული. მთელი ჩვენი მოწინავე მეცნიერები პატივისცემით და დარბაისლური გულისყურით ეპყრობიან მის ყოველ სიტყვას. სხვანაირად არც შეიძლება, სიმონ ხეჩინაშვილს აქვს გონების ის თვალი, რომელიც ყოველ მეცნიერს როდი აქვს. ეს კარგად იციან უცხოეთის დიდმა თანამედროვე მეცნიერებმა, რომელთანაც ახლო სამეცნიერო ურთიერთობა და მიმოწერა აქვს საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილს. ისინი ყოველთვის ცდილობენ ახლო დაუკავშირდნენ სიმონის საქმეს, მუშაობას. ასეთი სურვილები ყოველთვის ბუნებრივია მეცნიერთა შორის. ნამდვილი მეცნიერები მეტად დიდი ენების ადამიანები არიან და ძალზე დაინტერესებულნი არიან თავიანთი კოლეგების სამეცნიერო ცხოვრებით. მით უმეტეს, თუ ესა თუ ის მეცნიერი რამე ახალსა ქმნის. შეიძლება ლევან გოგნაძის ყური, რომელიც მეტად უცნაური შემთხვევის გამო მეტად თავისებურად დაზიანდა, სიმონისათვის, როგორც მეცნიერისათვის, საინტერესო და მიმზიდველიც იყო. რასაკვირველია, ეს გამონაკლისი როდია. პირიქით, ეს პროფესიული ინტერესი აუცილებელიც არის, მაგრამ ლევანისადმი პროფესორის დამოკიდებულება, ისე როგორც სხვა პაციენტებთან მისი ურთიერთობა, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სიყვარულით იყო გამოწვეული. ეს სიყვარული მას მემკვიდრეობით მოსდგამს. ბაბუა სიმონი ყოველთვის ამის საუკეთესო მაგალითს იძლეოდა.

ერთი ასეთი შემთხვევაც ყოფილა:

სწორედ რომ მშვენიერია სოფელი საყულია. მდინარე რიონი სამხრეთით მთელ მის [illegible] გაუვლის ხოლმე. რიონი მის მიდამოებში წყალუხვია, დიდი და ფართო კალაპოტიც აქვს. ამ სოფელში [illegible] მეტად კარგი გამოცხობა იციან. იქაური ხაჭაპური და ე. წ. გომიჯი-პური მთელს ქვემო იმერეთში იყო განთქმული. რასაკვირველია, [illegible] ყანებიც როდი ჰქონდათ საყულიელებს გასაკვეხი. ამ სოფელში მეზვების მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა — დიმიტრი მეზვის ოჯახი. მისი ერთი ძმა — პროკოფი მეზვე სიმონს მეგობრობდა. სულ სამნი ძმანი იყვნენ ეს მეზვები, მესამე ძმა დათა, თავზეხელაღებული მოჭიდავე კაცი, უცოლშვილოდ და ძმებთან [illegible]. სამივე ძმა მეტად ლამაზი ყოფილა. ერთ დღეს დიმიტრის რომელიღაც ოჯახის წევრი ავად გამხდარა. პროკოფის სიმონისთვის უთხოვნია და თავისი ეტლით საყულიაში წაუყვანია. სიმონს ავადმყოფი გაუსინჯავს, წამლები გამოუწერია. იმ ღამით იქ დარჩენილან. ეტყობა ავადმყოფი იმ ღამით მოკეთებულა. მეზვებს ვახშამიც კარგი გაუმართავთ. იმ წელს ამ სოფელში ბლომად ყოფილან ავადმყოფები. დილით, როცა სოფლელებმა გაიგეს სიმონ ხეჩინოვი აქ არისო, დიმიტრი მეზვის კარებს მოასკდნენ.

გაიხედა სიმონმა და გაოცდა. ასი კაცი მაინც იდგა თურმე კარებთან.

— ხოლერობა ხომ არ არის, ნეტავ რა სჭირს ამ ხალხსო?! — დაინტერესებულა სიმონი. ამიტომ იგი გულდაჯერებით შესდგომია ავადმყოფების შესწავლას და მოვლას. როცა შეატყო იმ ღამითაც ვერ წამოვიდოდა, სიმონმა პროკოფი მეზვის მეეტლეს წერილი გამოატანა მეუღლესთან — არ შემინდე თუ დამიგვიანდებაო. ავადმყოფები კი ბევრზე ბევრი აღმოჩნდა. იქიდან მეზობელ სოფელში [illegible] ცხენით მიიპატიჟებს თურმე სიმონი, უარი ვერ უთქვამს, მათაც წაჰყოლია, ერთი კვირა იქვე დარჩენილა. ამ ხნის მანძილზე არც საცვალი გამოუცვლია და არც უბანავნია. აბანო ბაშმი და საყულიაში მაშინ ვის ჰქონდა?! [illegible] კაცი, თვითონაც ავადმყოფივით ჩამხმარა, დაავადმყოფებული სოფელი კი მაინც არ მიატოვა, ბოლოს, როცა ყველაფერი მოათავა, ქუთაისისკენ გამოეშურა. სოფელ მეზვეთთან (გზაზე) [illegible] სოფელი დახვდა. ეს „ჩამოსრება", როგორც მაშინ ქვემო იმერეთში ასეთ ავადმყოფობას უწოდებდნენ, იმ სოფელსაც შეჰყროდა. ამ სოფელში ტორაძეები და შალამბერიძეები ცხოვრობდნენ. ისინი მაშინ თურმე მეტად ღარიბი გლეხები იყვნენ. ძირს დაწვებულ ფიცრულ სახლებში ორი თუ სამი [illegible] ავადმყოფი ხან სკამლოგინებზე იყო მიგდებული. კვირაკობისთვის ბოლო დღეები იყო. ამ დროს იმერულ ღარიბ გლეხს მის დღეში არ ჰქონია სასიხარულო ხსნილი! ცალკე ავადმყოფობა და ცალკე შიმშილი სტანჯავდა ხალხს. სიმონს, როგორც ეტყობა, ჯიბეში ფული არ ჰქონია. სოფელ ბაკისუბანში ერთი კარგად შეძლებული ამირეჯიბის ოჯახი ყოფილა. იქ გაუგზავნია კაცი და ორასი მანეთი უსესხნია. სადაც შედიოდა, თურმე მანეთს და ორ მანეთს ყოველ გაჭირვებულს [illegible] ხოლმე. ისინიც, წამალთან ერთად, თურმე [illegible] ფქვილს და ლობიოსაც ყიდულობდნენ, ოჯახს ამით სული უბრუნდებოდა.

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

პროკოფი მეხსე ეტლი საყელაში გაეზიანა. იქ ვიქვათ, რამდენი ხანია წამოვიდით. შემხვდულა მეხსი. სიმონის მეუღლისთვის ვერ გაუმხელავს თქმა: ქალი გაგიჟდება. სამი დღის შემდეგ ამერიკიდან იუსის საშუალებით ტერიტორიებში ძლივს მიუახლოვდა მისთვის.

— ნამეტანი გამიჭირდა, ტანჯაუზავნელობა! ღამე გავიარე, უკანეთის წინაქვილების არხში დავიბანე, — უყვებოდა სიმონი პროკოფს, — საცვლები ჩემი ხელით გავრეცხე, იმერულმა სიცხემ დილამდე ყველაფერი გააშრო. დილით ისევ ავადმყოფების მოვლას შევუდექით.

დურბანი და კალოშელი

— ამირეჯიბებს ფული რათ დაუხვსხლ. — გაოცებით უკითხავს პროკოფს.

— კაცო, მიდით ერთი და ნახეთ როგორი გაჭირვებით ცხოვრობენ. წამალზე უფრო საჭიროდ სჭირდება ჩვენს ხალხს, მეც ცოტა-ცოტას პურის ფულს ვურიგებდი დამშეულ ბავშვებს.

დიახ, ასეთი ყოფილა ბაბუა სიმონი და სწორედ ასეთივე დიდი სიყვარულით პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი (შვილიშვილი) რვა თვის მანძილზე ძმასავით უვლიდა კოლმეურნეობის დურგალს ლევან გოგნაძეს.

იგი ახლა სიტყვებს კარგად მარცვლავს. ხმაც საკმაოდ მაღალი და მჟღერიანი აქვს. ცოტა ხანი კიდევ და ლევანის ყელი ჩვეულებრივად იმოქმედებს. კაცმა არ იცის, ვინ უფრო გაიხარებს ამით, დურგალი ლევან გოგნაძე, თუ პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი.

ზოგიერთს ექიმობა ადვილი ხელობა ჰგონია, ექიმებს ბევრი დრო და საშუალება აქვსო. ზოგს ჰგონია, რომ ექიმობა მეტად სარფიანი რამ არის — სადაც გინდა, იქ ივლი, ხალხიც დიდ პატივსა გცემს. გულში დარდი არაფრისა გაქვს! ეს მეტად მსუბუქი ადამიანების აზრია ექიმებსა და საერთოდ საექიმო ხელოვნებაზე. ჩვენს სამყაროში ადამიანი მეფეც არის და ღმერთიც. ვინც მის ჯანსა და ღონეს უვლის, მას მკურნალობს, ის უსათუოდ მეტად პატივსაცემია, მაგრამ ჭეშმარიტი თავმდაბალი კაცი უნდა იყოს. მას არ შეუძლია, უძილობაც არ აქვს, როცა მძიმე ავადმყოფი ჰყავს, თავისთავს ადამიანურად მიხედოს. სიმონ ხეჩინაშვილის ჯარისში პირველ საავადმყოფოში შესანიშნავი კოლექტივი მუშაობს. აქაური ახალგაზრდა ექიმები ნოდარ გვეტაძე, ონანოვი-ვახტანგოვისა, დათო და ბორის ყიფიანები, ჰარმაკი, დამსახურებული ექიმები პ. ასპისოვი, ნაცვლიშვილი და სხვები — მეტად ნიჭიერი და განათლებული ექიმებია. ახალგაზრდა ექიმი ნანული ძამძიძე თვალცრემლიანი შესჩიოდა ამხანაგებს: „ექიმობაზე უფრო უბედური ხელობა არ არის ამ ქვეყნად, თუ ჩემი ავადმყოფი მძიმედ არის, არც მეძინება, ვერც საჭმელს ვჭამ ხეირიანად და იმ დღეებში გაცინებულს ვინ მნახავს, არაფერი არ მახარებს, ერთი კვირაა ჩემი ერთი ავადმყოფი ძალზე ცუდად არის და ადგილი ვერ მინახავს, ისე ვბორგავ, არ ვიცი სად წავიდე"!

ახალგაზრდა ექთანი ნათელა რობაქიძე, რომელიც სახემშვენიერი და ლამაზი ქალია, კარგა ხანია საოპერაციო დად მუშაობს ხეჩინაშვილთან. ნათელა ახლად დაოჯახებულია. უკვე ერთი ბავშვიც ჰყავს. წელს საქმიანზე შვებულებას აპირებს. ნათელა და მისი კოლეგები დილიდან საღამომდე მუშაობენ, რომ საოპერაციო აპარატურა, ინსტრუმენტები და სხვა საშუალებები მზად იყოს. ნათელამ ნანულის უთხრა:

— ექიმი არ ვარ და ამიტომ პასუხისმგებლობაც ცოტა მაქვს, მაგრამ როცა ხიმონი რთულ ოპერაციას აკეთებს, იმ ღამეს არ მეძინება. რატომღაც მთელი ღამე ბავშვს ვუყურებ, მეშინია ოდნავმე მას არ დასჭირდეს ასეთი რამეო.

დიახ, ნამდვილი ექიმი, ნამდვილი ადამიანი ასე განიცდის სხვა ადამიანების ტკივილებს და ავადმყოფობას. ამიტომ როცა ზოგიერთი მშობელი, მის შვილს სურს თუ არა სამედიცინო ინსტიტუტში შესვლა, მაინც იქ მიარბენინებს საბუთებს. ასეთ მშობლებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ადვილად ხამიჯე პურით უზრუნველყოფენ თავის მემკვიდრეებს! ექიმობა საშიშარი ადგილი როდია! ექიმი ხალხის სიყვარულით ალხაცე უნდა იყოს, მისთვის უნდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს, ხალხის პატივისცემით უნდა ლეიოდეს მისი გული, ხალხის ჭირი ჭირად მიაჩნდეს და ლხინი ლხინად. მუდამ ასეთი იყვნენ ჩვენი ექიმები და ასეთი უნდა იყვნენ დღესაც!

ჩვენ დღეს ექიმების უზრუნველსი თაობა გვყავს. ისინი დიდი, ნათელი სიყვარულით ემსახურებიან ხალხს. პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი ერთი მათგანი გახლავთ.

შარშან ქუთაისმა მეხუთედ მოუწყო თავის უხუცეს დამსახურებულ და დიდად ქცელებულ სიმონს. ქალაქის ინტელიგენცია დიდი სიყვარულით და სიამაყით შეხვდა მას. მათი სიამაყე ყველასთვის გასაგებია. ყოველ სოფელს თუ ქალაქს ყოველთვის წმინდა სიყვარულით უყვარს თავისი ჭკვიანი შვილი. ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება! მახსოვს და არასდროს დამავიწყდება ერთი ამბავი. ჩვენი საყვარელი მწერალი და მოღვაწე, აწ განსვენებული აკაკი ბელიაშვილი დღეუკვემდე სულ ორიოდე კვირით ადრე პარიზში იყო. როცა ჩამოვიდა, თავის შთაბეჭდილებებს გვიყვებოდა. იგი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. მან იქ თითქმის ერთი თვე დაჰყო. ასე თუ ისე, ბევრი რამე ნახა და პარიზის სიმშვენიერით გაოცებული და მოხიბლული იყო. ბოლოს ისეთი რამე თქვა, რომ ყველანი გავკვირვდით, მართალი გითხრათ, ცოტა თუ დაგვიაოცა, ბევრ ჩვენგანს გულწრფელად სიცილიც წასკდა.. ბევრმა ჩვენგანმა მისი ნალაპარაკევი დაცინვად ჩათვალა:

ამას წინათ თბილისში კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის დასრულებისას ჩვენმა გაზეთებმა სხვადასხვა სახელმწიფოს მწვრთნელებს ინტერვიუ გამოართვეს. ფრანგი კალათბურთელების მწვრთნელი შენატროდა თბილისის სპორტის სასახლეს და გულდაწყვეტით ჩიოდა, ასეთი სასახლე რომ პარიზში იყოს, რა გვიჭირსო.

ეს რომ ჩვეულებრივ საბჭოთა მოქალაქეს პირიდან დასცდენოდა, ჩვენი უცხოელი მოგზაურები მასხარად აიგდებდნენ.

განსვენებულმა აკაკიმ მაშინ თქვა:

— გინდა გეგი დამიძახეთ, გინდა მოძღვარლით, ქუთაისის მსგავსი სილამაზე მაინც ვერ ვპოვე იქო.

მართალი გითხრათ, ყველანი ძალზე გავვოცდით, მით უმეტეს, როცა დავრწმუნდით, რომ აკაკი ამას დაჯერებით ამბობდა.

აკაკი ბელიაშვილს მე უკანასკნელ ათი წლის მანძილზე დავუახლოვდი. მანამდე მას შორიდან, მხოლოდ ნაწარმოებებით ვიცნობდი. ბოლო წლებში მე ყურს ახლოს ვუგდებდი მის ცხოვრებას და მეტად მომწონდა. განათლებული, პირდაპირი, გულწრფელი და მეტად ხალისიანი კაცი იყო. ვერ იტანდა ეშმაკ და გაქნილ ადამიანებს. მას ყველა უყვარდა და ადამიანზე ცუდს ვერ ათქმევინებდი. მხოლოდ ერთხელ გავიგე, რომ ის ერთ კაცს ძალზე ავუგად იხსენიებდა. გულწრფელად რომ თქვას კაცმა, ის კაცი თითქმის არავის არ უყვარდა. აკაკის თუ არ სჯეროდა, დარწმუნებული თუ არ იყო, ვინმეს ავკაცობასა თუ კარგ კაცობაში, არავის არც აძაგებდა და არც აქებდა. ვერასდროს მას სხვის აზრს ვერ მოახვევდით თავზე. ყოველთვის თავისი აზრი ჰქონდა ამა თუ იმ მოვლენაზე. ამჩატება არ იცოდა. ყოველთვის დაკვირვებით ლაპარაკობდა და სწერდა. როცა მისგან პარიზის და ქუთაისის ასეთი შედარება გავიგონე, მეწყინა, დაცინვად მივიღე, ძალზე ავღელდი.

— რა არის, აკაკი, ქუთაისს შენგან დაცინვა არ ეკუთვნის, ბოლოსდაბოლოს იქ გაიზარდე მეთქი.

სხვათაშორის აკაკი ბელიაშვილი თვითონ მომიყვა, რომ მოწაფეობის დროს ქუთაისში სწორედ იმ ქუჩაზე (მესხეთის ქუჩაზე) ცხოვრობდა, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. აკაკიმ იმ წუთშივე შემატყო წყენა და თვითონაც ჩემზე უფრო მეტად გაბრაზდა.

— რატომ გგონია, რომ ვხუმრობ, ქუთაისი მე არავისზე ნაკლებ არ მიყვარს და მასზე დაცინვას ჩემს შვილსაც არ ვაპატიებ! მე სხვაზე ცუდად არც პარიზის ისტორია ვიცი. მისი არქიტექტურული სიმდიდრის და სილამაზის ფასიც სხვაზე ნაკლებ როდი გამეგება. მე ისიც ვიცი, რომ ეს ქალაქი პარიზის კომუნის მშობელია, ნაპოლეონის, ბალზაკის და სტენდალის ქალაქია, ვიქტორ ჰიუგოს ქალაქია. მართალია, თავისი მატერიალური ღირებულებით სამ რესპუბლიკას იყიდის. არა, პარიზსა და ქუთაისს მე ამით კი არ ვადარებ. აბა მიბრძანდი თქვენ და პარიზში ეძიეთ ისეთი კონდარით ამწვანებული ეზოები თავისი მშვენიერი ერთსართულიანი სახლებით, როგორიც ქუთაისშია! პარიზში მტერი ბევრჯერ შესულა. მაგრამ ერთი ღობეც კი არ მოუნგრევია. ჩვენთან ყოველი შემოსევის დროს სწვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შეიძლება ბაგრატის ტაძარი ბევრად ნაკლებად არ გამოჩენილიყო უმშვენიერეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან შედარებით. იმ ქალაქს, რომელსაც ერთი ოქროს წნელით ნაშიოვი ხახულის ღვთისმშობლის ხატი ხახატუზე ეყიდა, სხვა ქალაქებზე ნაკლებად ვერ ჩავთვლითო. — დაასრულა სახელგანთქმულმა აკაკიმ.

აი, როგორ უყვარდა აკაკი ბელიაშვილს ქუთაისი და როგორ მოსწონდა კიდეც.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ მეც ქუთაისელი კაცი ვარ. ვინც გულმართლად ფიქრობს და სწერს, დამეთანხმება ერთ რამეში: პატარაობიდან ყოველი ადამიანი ფიქრობს დედ-მამას უყვარდეს, და-ძმებს უყვარდეს, თავის სოფელს თუ ქალაქს არ ეჯავრებოდეს. ადამიანი, რომელიც ფიქრობს თავისი ცხოვრება ხალხის სასარგებლოდ წარმართოს, ყოველთვის ელოლიავება და იტრფის თავის ხალხის აზრს. უფრთხილდება მის სიყვარულს.

როცა პირველი სტრიქონები დავსტამბე, იმ ღამეს არ მეძინა. დავიარებოდი, ყველას სახეზე ვაჭერდებოდი, მინდოდა გამეგო კმაყოფილნი იყვნენ თუ არა ჩემი მეზობლები, ქალაქის მცხოვრებლები. ბედნიერია სიმონ ხეჩინაშვილი. ქუთაისს ნამდვილად უხარია, რომ მის მიწაზე დაბადებულმა და გაზრდილმა ახალგაზრდა კაცმა ამდენის გაკეთება შესძლო, რომ პროფესორი სიმონ ხეჩინაშვილი, რომელიც ამჟამად საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტია და ლენინური პრემიის ლაურეატი, მომავალში კიდევ მეტს გაუკეთებს თავის ქვეყანას, თავის მამულს, თავის ქალაქს. ამის თავდებია მისი ასაკი და დიდი მეცნიერული ალღო.

ლევან გოგნაძე სულ ერთი კვირის წინ წავიდა თავის სოფელ საზანოში. ახლა ის დაბალ ხმაზე ლაპარაკობს, სიტყვას გასაგებად მარცვლავს. სოფელში რომ ჩასულა, თავისი ბიჭი ამიღზილი შეხვედრია. ლევანს ხომ ეს მარცხი ორი წლის უკან მოუვიდა, მაშინ მისი ბიჭი ძუძუს ეწოდა. ახლა იგი უკვე სამი-ოთხი წლისაა. ლაპარაკიც იცის და ყვირილიც. როგორც ჩანს ბავშვს შინ და გარეთ ხშირად ესმოდა, — მამა ავად არის, ხმა აღარა აქვს, ვეღარ ლაპარაკობს, დამუნჯებულაო. მისი ჩვილი გონება, ეტყობა, მამის ასეთი მდგომარეობით ჩაფიქრებული და შეწუხებული იყო. როცა სოფელში ჩავიდა, ბავშვმა ნახა, რომ იგი მშვენიერად ლაპარაკობს, ერთი ცივად აკოცა და აღრიალდა კიდეც:

— რატომ მომატყუეთ მამა მუნჯიაო, დედამაც მომატყუა, ბებიამაც, ყველამ რატომ მომატყუეთო!

ცხელ-ცხელი, ბავშვური ცრემლები ფართქალით სცვივოდა ბავშვს.

ჰე, რა იცის პატარა ბიჭუნამ, რომ ის დედამ და ბებიამ კი არ, პროფესორმა სიმონ ხეჩინაშვილმა „მოატყუა".

ის ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ როცა გაიზრდება, ისიც იტყვის: — შვილი ისე უნდა გავზარდო, რომ სიმონ ხეჩინაშვილის კვალზე იაროს, და, მასავით ემსახუროს ჩვენს ხალხსო.

მე ვფიქრობ, თუ შთამომავლობა ასე იტყვის შენზე, მაშინ ნამდვილად ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

დიახ, ნამდვილად!

ჯანსაღი სიცილის კომედია

მაყურებელი ქართული კინოკომედიით განებივრებული როდია. ჩვენი კინოსტუდიის მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე შექმნილ მეტნაკლებად საყურადღებო კინოკომედიების რიცხვი სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელია. ამიტომაც დიდი სიხარულით ხვდება იგი კინოხელოვნების ამ ურთულეს ჟანრში კინემატოგრაფის ცდის ყოველ ახალ გამოვლინებას.

ა. თაყაიშვილს და ზ. ჯაფარიძეს სცენარისათვის გროტესკული, თუ გნებავთ, ერთგვარად დეტექტური ხასიათის მასალა აუღიათ. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ხელოვნებაში ემპირიულ ხასიათის დეტალს ყოველთვის დასაჯერის დამაჯერებლად გადმოცემული, მხატვრული განზოგადების სიმაღლემდე აყვანილი ხელოვნების გამნაკარი. ჭეშმარიტ კინოხელოვნებაში არ არსებობს დაუჯერებელი ფაქტები. მხატვრული და ფსიქოლოგიური მოტივირების ძლიერი იარაღით შეიძლება მაყურებელი დააჯერო იმაში, რომ ადამიანს შეუძლია კედელში გაიდეს (როგორც ეს იყო ფრანგულ კინოკომედიაში „ადამიანი კედელში გადის"), ან სრულიად ნორმალურ ადამიანებს ცის ნაჭერი მიაყიდო („ერთი პეშვი ცა").

ზემოხსენებული ფილმის ნახევრად დეტექტური და ნახევრად რეალისტური ხასიათი ქართული კინოკომედიის ჟანრში ერთგვარ სიახლედ მიგვაჩნია.

ფილმის ექსპოზიციური ნაწილიდანვე მაყურებელი გულგრილად ვერ დარჩება:

გოგონამ ავტობუსში აიღენა უბის წიგნაკი, რომელშიც „პიროვნებათსიზღვრულის" ხელით სწერია: „ქალაქიდან გასვლამდე ბოლო მოეღოს დანარჩენებსაც; ყარამან ხუსიკაძე მოიკლას თავში აგურის ჩარტყმით, დავით ხუციშვილი — მუცელში დანის გაყრით, ხამა კანდელაკი — გაიტაცონ და გააქრონ".

გოგონას სურილი—გაფრთხილოს სასიცდილოდ განწირული პირები, — ბუნებრივია. იგი ერთ-ერთი დავით ხუციშვილის თანხლებით (ქალაქში 14 დავით ხუციშვილი ყოფილა) დადის ქალაქში, რომ დავით ხუციშვილებს, ყარამან ხუსიკაძეებს და ხამა კანდელაკებს დროზე შეატყობინოს მოსალოდნელი უბედურება.

ამის შემდეგ ჩვენს წინ გაივლის ფილმის გმირების ცხოვრების სამი მომენტი: გოგონას მოსვლამდე, სიკვდილის საშიშროების გაგების შემდეგ და იმის შეტყობის შემდეგ, რომ უბის წიგნაკის ჩანაწერი მხოლოდ მწერალი ქალის დეტექტური რომანის გეგმა ყოფილა.

ფილმის სუჟეტური მხარე მის ავტორებს ერთი მხრივ მოქმედების დაუბრკოლებლად გაშლის და კომედიური დეტალიზაციის დიდ შესაძლებლობას აძლევდა, მეორე მხრივ კი არაერთხელ საფრთხე მომავალი ფილმის კომპოზიციური რღვევისა; იმისა, რომ მხატვრულ ნაწარმოებს იუმორისტული კინომოთხრობის იერი დაედებოდა.

ფილმის სცენარის ავტორებს და რეჟისორს კეთილსინდისიერად უმუშავნიათ, რათა მწარი, პუბლიცისტურ-დეტექტური ან ექსცენტრიული კომედიის შექმნის ილიი გზით არ ევლოთ.

შესანიშნავად შერჩეული მსახიობთა კვარტეტი (ს. თაყაიშვილი, ი. ხვიჩია, ე. მანჯგალაძე, შ. პასეცი) ოთხ სხვადასხვა პიროვნებას, ოთხ სხვადასხვა ცხოვრებას განასახიერებს. ერთი მათგანი მაკლერია (ი. ხვიჩია), მეორე—კომპოზიტორი (ს. თაყაიშვილი), მესამე—მომღერალთა გუნდის წევრი (შ. პასეცი), ხოლო მეოთხე ექსკურსიამძღოლი (ე. მანჯგალაძე). ამ უწყინარი პროფესიის ადამიანებს სულს უშფოთებს თავთავიანთი პიროვნული ცოდვები და სისუსტე.

მაკლერი ხალხს ატყუებს, კომპოზიტორი თვალთმაქცობს და თავს თმის ამოყვანის უებრო ოსტატად ასაღებს, ექსკურსიამძღოლი ქალებზე „ნადირობს", გუნდის წევრს კი თავისი „პრეტენზიული" ოცნება აქვს—ლოტბარობა, რის მიღწევისთვისაც, თურმე ნუ იტყვით, ანონიმური წერილების წერასაც არ ერიდება.

სცენარისტების და რეჟისორის ერთ-ერთი დამსახურება ისიც არის, რომ მათ ფილმის მოქმედი პირების ბიოგრაფიაშივე პოტენციურად მოათავსეს სიცილი და ამიტომ მაყურებელს აღარ უკვირს მათი ბედის შემდგომი ტრაგი-კომიკური მოძრაობა.

სიკვდილით დამუქრების ცნობას სხვადასხვაგვარად შეიტყობენ (ერთი დავით ხუციშვილი ეზოების მოთავისიერებელია, მეორე — სპორტსმენი, ყ. ხუსიკაძე მშენებელია), მაგრამ ისინი „ავისმომასწავებელ" უბის წიგნაკს ბავშვების ოინბაზობად ხვდებიან. ვისაც სამიში არა აქვს რა, არც ეშინია. მხოლოდ ზემოთხსენებული ოთხი საქმიანი იწყებს, რომ ნამდვილად და სრულიად დამსახურებულად უპირებენ მოკვლას.

გ. მგელაძემ ამ თავის მეორე ფილმით (პირველი იყო „მერთი და მოედანი") თავი გამოიჩინა, როგორც კომედიური ფილმების ნიჭიერმა რეჟისორმა. ფილმში უხვად არის მოქმედ პირთა ქვეცნობიერი ხასიათიდან ძალდაუტანებლად გამომდინარე კომედიური კადრები. მაგალითად, მილიციაში ყოფნის სცენა და კიბეზე შეშინებული ოთხეულის სამგლოვიარო სვლა, დ. ხუციშვილის (ე. მანჯგალაძე) და უხარმაზარი მაგნიტის ისტორია, ს. კანდელაკის (ს. თაყაიშვილი) გატაცების ჰალუცინაციები, ხოლო ყარამან ხუსიკაძის (ი. ხვიჩია) „დამალული" ძაღლის და მათ ირგვლივ დატრიალებული ამბების კინემატოგრაფიული გადმოცემა, რომელიც გრძნობით კომედიას დაამშვენებდა.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ს. თაყაიშვილის და ი. ხვიჩიას შესანიშნავ თამაშს.

ოპერატორ გ. რაჭველიშვილის ნამუშევარი ყურადღებას იმსახურებს ხედვის საკმაოდ ორიგინალური კუთხით, მეჭრილ-[illegible] მოძრაობით, [illegible] დეტალებით და [illegible] (მხატვარი, [illegible]) [illegible] შემდეგ ნახა და მის დაბრუნების და პანაშვიდის კადრები. მოსაწონია ი. გუჯაბის მელოდიური და ტემპიანი მუსიკა.

გამოცდილ მსახიობებს ე. ყიფშიძე, გ. მანჯგალაძე, შ. პასეცი და სხვებს ღირსეულ პარტნიორობას უწევენ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები დ. რატიანი და გ. ორჯონიკიძე.

ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ამ ერთ-ერთ პირველ ნამუშევარს, ღირსებებთან ერთად, რა თქმა უნდა, ნაკლოვანებებიც გააჩნია:

ჯერ ერთი, მხატვრულად უსუსური და სქემატურია ფილმის რომანული ხაზი (ნანა და დათო). მოტივირებული არ არის დათოს ინდიფერენტული დამოკიდებულება თავისი და სხვათა ბედისადმი, მითუმეტეს, რომ იგი თავისი ასაკით და გამოცდილებით ნანას მეტად არ აღემატება.

ფილმში ჭარბად არის წარმოსახვით-ფანტასტიური სცენები. ამ სცენების გადმოსაცემად აბსოლუტურად რეალური ტონია აღებული. ასე რომ, მკითხველს ზოგჯერ უჭირს გაარჩიოს სად თავდება მოჩვენება და სად იწყება მოქმედების ნამდვილი განვითარება.

ფილმში (პირველ ნახევარში) ხშირად შეუსწორებულია კინემატოგრაფიული ტემპი და იგი დამძიმებულია მხატვრულ დატვირთვასმოკლებული სცენებით (ქვილის ხვდა, ხუციშვილის საუბარი ხუროთმოძღვართან).

დიალოგი ალაგ-ალაგ გაჭიანურებული და დაუხვეწავია.

...და მაინც „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი" კარგი ქართული კინოკომედიაა.

რეზო მიშველაძე

გიორგი ქუჩიშვილის ფსევდონიმებისათვის

გიორგი ქუჩიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ახალგაზრდა პოეტმა პირველი ლექსების ბეჭდვა დაიწყო 1906 წელს.

გიორგი ქუჩიშვილი 1905 წლის რევოლუციის ქარტეხილმა შობა და ამიტომ მისი ფაქიზი შემოქმედებაც მთლიანად მხოლოდ მის ნათელ იდეებს ემსახურებოდა. 1907 წლიდან დაწყებული 1947 წლამდე არ იყო თითქმის ისეთი ქართული ჟურნალი და გაზეთი, რომელშიც გ. ქუჩიშვილის შემოქმედების ნიმუშები არ დაბეჭდილიყო. მარტო 1917 წლამდე გ. ქუჩიშვილის ლექსები და ნოველები სისტემატურად იბეჭდებოდა 100-ზე მეტი სახელწოდების ქართულ პერიოდულ გამოცემაში.

გიორგი ქუჩიშვილის (1886-1947) ნაწარმოებთა პირველი წიგნის გამოცემა ერთბაშად მისი სამტომეულით დაიწყო (1914-1916 წლებში). წიგნი პირველი — „პოეზია" და წიგნი მეორე — „პროზა" 1914 წელს ი. ი. ჩიტოშვილმა გამოსცა პეტრე გელეიშვილისა და ლაკრიმოზუს-ის (lacrimosus — იგივე პ. გელეიშვილია) წინასიტყვაობით და პოეტის საინტერესო ბიოგრაფიით. „ლექსები და პოემების" მესამე წიგნი კი 1916 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოუშვა.

გ. ქუჩიშვილი ნაყოფიერი მგოსანი იყო, ძალიან ბევრს სწერდა და ლექსების უმრავლესობას მხოლოდ პერიოდული პრესის ფურცლებზე აქვეყნებდა. რევოლუციამდელ პერიოდში მისი შემოქმედების ცალკე წიგნებად გამოცემა მეტად შეზღუდული იყო. 1921 წლამდე ზემოთდასახელებული სამი წიგნის გარდა პოეტმა მხოლოდ ორი წიგნაკის გამოცემა მოახერხა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი გ. ქუჩიშვილის თხზულებათა 60-ზე მეტი სახელწოდების სქელტანიანი წიგნი გამოიცა. მაგრამ არცერთი ეს გამოცემა სრული არ არის. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული გ. ქუჩიშვილის უამრავი ლექსებიდან დღემდე მხოლოდ მისი 70-80 პროცენტი არის გამოქვეყნებული ცალკე გამოცემულ წიგნებში. ერთი სიტყვით, გ. ქუჩიშვილის თხზულებათა სრული ტომები დღემდე ჯერ კიდევ არ გამოცემულა. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ალბათ, ორი გარემოებაა: პირველი, — მგოსანი თავის ლექსებსა და ნოველებს ბეჭდავდა 100-ზე მეტი სახელწოდების რევოლუციამდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა შოვნა დღეისათვის არც თუ ისე ადვილია საქართველოს წიგნთსაცავებში; მეორე, — მგოსნის უცნობი ფსევდონიმები.

გიორგი ანდუყაფარის ძე ჩხეიძეს მთავარი, მის გვარად დამკვიდრებული ფსევდონიმის გიორგი ქუჩიშვილის გარდა, ჰქონდა კიდევ შემდეგი ფსევდონიმები: დ. ქუჩიშვილი (ამ ფსევდონიმით მხოლოდ ერთი ლექსი: — „ტასოს („კუკილის" ოცი წლის გამო)" — დაიბეჭდა 1910 წ. „კუკილის" № 2-ში); გ. ქ.-ლი, გ. ქართველიშვილი; გ. ი; გ. უიშვილი; გოგია უიშვილი; გ. უ. დ.; გ. უბედური და კიდევ მრავალი სხვა.

ჩვენი დაკვირვებით, პოეტმა თავისი ნამდვილი გვარის ხელმოწერით მხოლოდ ერთი ლექსი დაბეჭდა და ისიც ნ. ჩხიკვაძის თანაავტორობით. ეს მათი სამსტროფიანი ლექსი „ხიმი (ს. აბაშელს)" იყო, რომელიც „ნ. ჩხიკვაძე და გ. ჩხეიძე"-ს ხელმოწერით 1910 წელს „თეატრი და ცხოვრების" № 27-ში დაიბეჭდა.

ჩვენს მიერ შედგენილ ქართულ მოღვაწეთა ფსევდონიმების საუნჯიდან ამჟამად შევჩერდებით გ. ქუჩიშვილის მხოლოდ ორ ფსევდონიმზე, და დავასახელებთ ყველა იმ ნაწარმოებს, რომლებიც ამ ფსევდონიმებით იყო გამოქვეყნებული.

„გოგია უიშვილის" ხელმოწერით გ. ქუჩიშვილმა შემდეგი ლექსები დაბეჭდა გაზეთ „დროებაში" (1908-1910 წ.წ.): წუხილი (1908 წ. № 23), ღმერთის გრიგალი... (1908 წ. № 29), კმარა, დადუმდი! (1908 წ. № 31), ქარიშხალი (1909 წ. № 13), ღამემ ბინდი ჰკრა ნამავალ მზესა... (1909 წ. № 41), ქვეყნისა გულისა (1909 წ. № 65), გარიჟრაჟზე (1909 წ. № 85), დილა (1909 წ. № 122; ეს ლექსი გადაბეჭდილია 1914 წ. პირველ წიგნში), სიმღერა (1909 წ. № 225), მედილი (1909 წ. № 263); გაზეთ „დროების" სურათებიან დამატებაში: კითხვები (1909 წ. № 3), სურათი (1909 წ. № 17), ღამე (1909 წ. № 18); ჟურნალ „ცხოვრება და ხელოვნებაში": გალობა (1911 წ. № 4), ბინდი (1911 წ. № 4); გაზეთ „თემი"-ში: ნაამბობი (1911 წ. № 19; 9 სტროფიდან 5 სტროფი გადაბეჭდილია 1914 წ. პირველ წიგნში), ვარდი და ბულბული (1911 წ. № 19; გადაბეჭდილია პირველ წიგნში), ნაპოლეონი (1911 წ. № 19; გადაბეჭდილია იქვე), ბედი მგოსნისა (1911 წ. № 20, ეს პატარა პროზაული პოემა დათარიღებულია: „აბაშის ხეობა (სამეგრელო), 10 აპრილი, 1911 წ.", გადაბეჭდილია 1914 წ. მეორე წიგნში); 1911 წლის 30 მაისის გაზეთ „თემი"-ს № 21-ში დაბეჭდილია საერთო სათაურით: — „ყვავილები (ნაწყვეტები)" — შემდეგი ხუთი ლექსი: მგოსნის ვედრება, ველის ყვავილს, იას სიკვდილი, ბაღჩის ყვავილი და გულის ყვავილი; ჟურნალ „განათლება"-ში: სიკვდილი (1911 წ. № 3); გაზეთ „საქართველოს" სურათებიან დამატება"-ში: კახეთს (1915 წ. № 3), ტრფიალი (1915 წ. № 4), ნანას (1915 წ. № 5), ხალხის გაგებით დამძიმებულმა... (1915 წ. № 6), ცის ქვეშ (1915 წ. № 7), ფიქრთა ამშლელი ტკბილი დუდუკი... (1915 წ. №8), ბიძია მიოს (1915 წ. № 9).

გ. ქუჩიშვილის ზემოთდასახელებული მივიწყებული ლექსებიდან სანიმუშოდ აქ მოვიყვანთ ორ უკანასკნელს.

ფიქრთა ამშლელი ტკბილი დუდუკი
შეჰკვნეს-შესტირის ალაზნის ველებს
და ჰპოლის პირად, მწვანე სუფრაზე
ლხინი აქვთ, ლხინი, კახურის
მსმელებს!

მაგრამ ჩუ!.. თვისი მედგარ სიმღერით
ვინ მოუწოდებს გულად მებრძოლებს?
ამირანი ხომ არ ახწყვეტია
კლდეზე მიჯაჭვულ რკინათა რგოლებს?

ის არის, ისა! სატრფო ამირან
უეცის მამაცო, უეცის მხსნელებს!
მოდის და მოჰქრის გმირთა
ლაშქარი! —
ვინ გადელობს ლომ-გულ
ქართველებს?

ეს პატარა პატრიოტულ-გმირული ლექსი პოეტმა თავის საყვარელ კახეთს მიუძღვნა, სადაც დაიბადა და მისი აკვანი დაირწა.

ბავშვების სასიყვარულო მგოსანს — „ძია მიოს" (მიო მღვიმელს) კი ასეთი მგრძნობიარე სიტყვებით მიმართავს გ. ქუჩიშვილი:

შენ გაზაფხულის ცრემლი ხარ,
უფუძო წვიმად ქცეული,
ყვავილთა სასიხარულოდ
წვეთ-წვეთად ჩამორჩეული.

ცით მიწას ეცვარნამები,
ისრულებ ღვთიურ სურვილსა
და საქართველოს გულ-მკერდზე
ია-ვარდს უკლავ წყურვილსა!

1912 წლის ალმანახ „ნიშანის წვერში" (№ 1) დაბეჭდილია ერთი მიმცრო პოლიტიკური წერილი სათაურით: „რა არის ჩვენთვის საჭირო". წერილს აწერია გ. უ.-ლი. წერილში ლაპარაკია მკერავებზე და მათს გაჭირვებულ მდგომარეობაზე. გ. ქუჩიშვილის ხელმოწერით იქვეა დაბეჭდილი მისი კარგად ცნობილი ოთხსტროფიანი ლექსი „სიმღერა მკერავლებისა".

გიორგი ქუჩიშვილმა გ. უბედურის ფსევდონიმით თარგმნა და დაბეჭდა შემდეგი ავტორების პატარ-პატარა მოთხრობები და ერთი ლექსი: ოლივი შრეინერის „მხატვრის საიდუმლოება" (ჟურნალი „ცხოვრება და ხელოვნება", 1910 წ. № 3, გვ. 4-5) და „მორიულ ქვეყანაში" (იქვე. 1911 წ. № 5, გვ. 3-5); ლევ ტოლსტოის „დანთხეული სისხლი — ებრაული ლეგენდა" (ჟურნალი „განათლება", 1911 წ. № 10, გვ. 621-622) და ჰაინრიხ ჰაინეს უსათაურო სამსტროფიანი ლექსი „ძილში ვსტიროდი: ვითომ გიხილე"... („განათლება", 1911 წ. № 4, გვ. 218).

როგორც ზემოთ მოყვანილი დაბეჭდილი მასალებიდან ირკვევა, გ. ქუჩიშვილს გოგია უიშვილის ფსევდონიმით უფრო ორიგინალური ლექსები უწერია, ხოლო გ. უბედურის ფსევდონიმით კი სხვისი ნაწარმოებები უთარგმნია (ისიც მეტწილად, მოთხრობები). საყურადღებოა აქვე შევნიშნოთ, რომ გ. ქუჩიშვილმა, მსგავსად ჰოლა ლომთათიძისა, ერთ-ერთ ფსევდონიმად ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოების მთავარი გმირის სახელი და გვარი გამოიყენა.

ამრიგად, გ. ქუჩიშვილის ზემოთ დასახელებული ფსევდონიმებით გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან, გარდა რამდენიმე ლექსისა, დღემდე არ გადაბეჭდილა მის თხზულებათა შემდგომ სრულ გამოცემებში. ასევე ძალიან ბევრი ლექსია უყურადღებოდ მიტოვებული თვით გ. ქუჩიშვილის ხელმოწერით დაბეჭდილთაგანაც კი. საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ გარემოებას და მომავალისათვის მთლიანად ამოიკრიბოს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მრავლად გაბნეული გ. ქუჩიშვილის ლექსები, ესკიზები, წერილები და ერთად გამოიცეს.

ა. აბრამიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი მუშაკი.

ლიტერატურა მსხვერპლს მოითხოვს

ეტიუდი

ეს ჩემს ბავშვობაში მოხდა. როგორც კი ავიდგი ენა და გასაგებად წარმოვთქვი სიტყვები: „დედა", „მამა", „მშია" და „ნანა მინდა", ჩემს მშობლებს ძალა არ დაუზოგავთ, რის ვაივაგლახით შემასწავლეს ლექსი: „მე პატარა ბიჭი ვარ". მშობლებს ამ საქმეში მხარში ედგნენ ნათესავები და მეზობლები. როცა დრო მოვიდა და საბავშვო ბაღში მიმიყვანეს, დედაჩემმა ისე დაუხატა ჩემი თავი აღმზრდელებს, რომ ისინი, უნივერსიტეტის პროფესორები რომ ყოფილიყვნენ, იქაც უყოყმანოდ მიმიღებდნენ. „გადასარევი ნიჭის პატრონია, თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე ზეპირად იცის ლექსი — „მე პატარა ბიჭი ვარ"... და მეც იძულებული ვიყავი გავემეორებინა და მთელი ხმით მეყვირა, „მე პატარა ბიჭი ვარ, ენო-ენო დავდივარ"...

საბავშვო ბაღში, რა თქმა უნდა მიმიღეს. ვიზრდებოდი, ვცელქობდი და ვტიროდი, ვტიროდი და ვცელქობდი. ერთხელ ჩვენმა ახალგაზრდა აღმზრდელმა მაცვლამ გვითხრა: „იცით ბავშვებო, ჩვენ დღეს გვესტუმრება ცნობილი საბავშვო პოეტი..." მასთან შეხვედრისთვის ყველა ემზადებოდა, გამგიდან მოყოლებული ეკრონინე დამლაგებლიანად. ჩვენც დიდი ამბით გამოვეწყვეთ. მთელი ერთი კვირის ჰაპანწყვეტით შექმნილი მოფენილი ნახატები, ნაქარგები, პლასტილინისაგან გამოძერწილი ზღაპრული ზოოპარკის ბინადრები. ბოლოს დადგა ნანატრი წუთები. საბავშვო ბაღის წინ გაჩერდა ავტომანქანა „მოსკვიჩი". კარი გაიღო თუ არა, ჯერ გრუზა ფიქსით დამძიმებული თავი და ბეჭები გამოჩნდა, მერე მანქანიდან ერთის ხვნეშითა და დიდი დარაბით გადმოაბოტა ნაცრისფერკოსტუმიანმა უცნობმა ძიამ. ხუთიოდ გამარჯობა სახეზე პატარა თვალებით მეთაქეშ პირით მოჭმუხნულიყო შუბლშეკრული ქოლგითები. ხმა კი ნაზი და ხავერდოვანი ჰქონდა.

პოეტის მატყუარამდ მოწყვეტილი იყვნენ ჩვენი მშობლები. დედები და მამები, ამრიგად მოხიბლული ეზოების ბინადრებიც. იგი დიდხანს გვიყვებოდა იმას, თუ რა ძნელია ბავშვებისათვის ლექსების წერა. როგორი მეზღვრობა ჰქონდა ამა თუ იმ შემოქმედებითი მივლინების დროს, როგორ ცხოვრობდა ბავშვებთან ბაღებში და პიონერულ ბანაკებში, რომლებიც აჭარის, აფხაზეთის და ყირიმის კურორტებზეა გაფანტული, მათთან ერთად სჭამდა, ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობდა და, ასე გასაცით, ლია ცის ქვეშაც კი ეძინა ზოგჯერ ზაფხულის ცხელ ღამეებში. ბოლოს წაგვიკითხა ლექსი „მე პატარა ბიჭი ვარ, ენო-ენო დავდივარ..." თანაც დაგვპირდა, რომ ახლო მომავალში დაამთავრებდა მის მეორე ნაწილს „ახლა დიდი ბიჭი ვარ"...

ჩვენ დიდი მადლის ნიშნად ტაში ვუკრავდით. ვილაცამ ავტომანქანიდან ყვავილებიანი კალათა მოიტანა, რომელიც მერე პოეტმა წაიღო.

გაფრინდნენ წლები. მეც, ჩემი ტოლი გოგო-ბიჭებივით, სკოლაში შევედი. არც ისე ცუდად და არც მაინცდამაინც კარგად ვსწავლობდი. ვკეცავდი „სამებს", „ოთხებს", „ხუთიანიც" გამომინათებდა ხოლმე ახალ მთვარესავით დრო და დრო, უფრო ხშირად ფიზკულტურაში. ვმონაწილეობდი სკოლის სასულე ორკესტრში, დოლს ვუკრავდი, ფეხბურთში სკოლის პირველობაზე ჩვენი კლასის გუნდში ვთამაშობდი. ჩემი თანაკლასელებივით მეც გატაცებით ვკითხულობდი ალ. ყაზბეგს, ტოლსტოის, ბალზაკს. ასე იყო თუ ისე, ლიტერატურა მაინც მეშინოდა და უფროს კლასებში შეძენილ დაბალი და მაღალი შაირის გარჩევა ერთმანეთისაგან. გამიხარდა, როცა შევიტყვე, ჩვენს სკოლას ერთ-ერთი გამოჩენილი საბავშვო მწერალი ეწვევაო.

ყავისფერი „პობედა" გაჩერდა თუ არა სკოლის ალაყაფთან, მასწავლებლები გარს მოცვივდნენ მწერლის შესახვედრად. მეთაური კლასელები უკან მივყევით. ძია, სიხარულისა და ალიაქოთისაგან ერთი ლამაზად შევეუნდრე. ეს ხომ სწორედ ის პოეტია, რომელიც კარგად მახსოვს ბავშვობიდან. იგი დიდხანს გვესალმებოდა, თავს გვიკრავდა. მერე მოგვიყვა, თუ რა ძნელია პოეტობა, ხოლო გაცილებით უფრო ძნელია საბავშვო პოეტობა. ამისათვის აუცილებელი ყოფილა პიონერულ ბანაკებში, მუდამ ბავშვებთან იყო, მათთან ერთად იაროს, სჭამოს, იძინოს ლია ცის ქვეშ. მთებში და ტყეში, რამდენადაც ლიტერატურა მსხვერპლს მოითხოვს. ბოლოს წაგვიკითხა ლექსი: „მე პატარა ბიჭი ვარ, ენო-ენო დავდივარ"... მერე დირექტორმა შეგვატყობინა, რომ ავტორი, როგორც ამას გაზეთები იუწყებიან, მალე დაამთავრებს ლექსის მეორე ნაწილს: „ახლა დიდი ბიჭი ვარ"... „ჩემს ბიჭის გაზრდა რაღაცას შეუფერხებია", გავიფიქრე და გამეცინა.

კიდევ გაფრინდნენ წლები. მე უკვე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. ამხანაგები ხშირად ვიკრიბებით მეგობრის ალაგას, ვკითხულობთ ლექსებს, მოთხრობებს, ვკამათობთ, ვამტკიცებთ, მაგრამ ყოველ კამათს ერთ დასკვნამდე მივყავართ. საჭიროა მაგალითი ავილოთ ძველი, გამოცდილი მწერლისაგან. ამიტომაც ასე გვიამა, როცა შევიტყვეთ, რომ უნივერსიტეტში ერთ-ერთი დიდი პოეტი წაიკითხავს ლექციას თემაზე —„ლექსზე მუშაობის ჩემი გამოცდილება".

ამგვარად შევიკრიბეთ დიდსა და ნათელ სააქტო დარბაზში. მაგიდას უსხედან დოცენტები, პროფესორები, სტუდენტებიც გარს შემორტყმიან ლამბაქა ცისფერ „ვოლგას" და მწერალი რომ ვერ დაინახეს, ავტოგრაფს მძღოლს ართმევენ.

პოეტი სცენაზე გამოვიდა. ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ დაუკრა თავი დამსწრე საზოგადოებას და ალაპარაკდა. ილაპარაკა შემოქმედებითი ცხოვრებისაგან მიყენებულ ტანჯვაზე, ლიტფონდზე, ხანგრძლივ მივლინებებზე და ურთიერთდახმარების სალაროზე. მე მეხსიერებას ვძაბავდი: რა ვქნა, სადღაც მინახავს ეს კაცი მეთქი. როცა მან დამსწრეთა ტაშის გრიალში დაამთავრა თავისი გამოსვლა პათეტიკური ჟესტითა და ფრაზით: „ლიტერატურა მსხვერპლს მოითხოვს", და ზედაც მიაყოლა ლექსი: „მე პატარა ბიჭი ვარ"... მომაგონდა! მომაგონდა და გავეღიმე, არ ვიცი ვის და რას...

დავამთავრე უნივერსიტეტი. ვითხოვე ცოლი. მყავს ბავშვი. იგი საბავშვო ბაღში მიუაბარე ბეჯითად სწავლობს. ბევრი ლექსი ზეპირად იცის... როგორც ფილოლოგმა, დიდი სიხარულით გამოვართვი მას ბილეთი, რომლითაც საბავშვო პოეტთან შესახვედრად მიწვევდნენ. როგორც კარგი მშობელი, წავედი ამ შეხვედრაზე. კარგად მახსოვს, როგორ შემოვიდა დარბაზში ჰაბდაპუბით გარშემორტყმული, ვერცხლით მოჭედილ ჯოხს დაყრდნობილი წარმოსადეგი მოხუცი. იგი მძიმედ ჩაეშვა მოწიწებით მირთმეულ სავარძელში, ოდნავ ჩაახველა და ასე დაიწყო: „ძვირფასო ბავშვებო, ლიტერატურა მსხვერპლს მოითხოვს"... მერე რა მოხდა, არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, როცა თვალი გავახილე, საბავშვო ბაღის გამგის კაბინეტში ვიწექი, თავზე მადგნენ საბავშვო ექიმი და გაფითრებული ცოლი... კუთხეში მოხუზულ ჩემს ბიჭს თვალიდან ცრემლი სცვიოდა.

— მიდი აქ, შვილო. მადლობა ღმერთს, რომ გადავრჩი, რომ არ შევეწირე ლიტერატურას მსხვერპლად და უდროოდ არ დაგკარგე, — ეს იყო პირველი სიტყვები, რომლითაც მეუღლეს მივმართე.

რ. დავიდოვი
ქ. რუსთავი.

პირიმზე

იგავი

ტრიალ ველზე ბუჩქის ძირას
ელვარებდა პირიმზე.
თავი ცასკენ ეჭირა,
ულიმოდა პირით მზეს.
ყელი — თვალი,
ყელი — ტანი,
(მზეზე ფერებს რა მოლევს)!
და ხიბლავდა კეკლუცი,
ყველა გამვლელ-გამომვლელს.
მიუფერებდნენ, როგორც წმინდანს,
მხატვრობს, ქებულს ზღაპრულად.
თვალი ვერ ააშორეს,
ჯერ კი ერთხელ ინიღლა.
გულს იკურნებდა მზე სახე და
ღამე დაუფარავდა.
ერთხელ ფესვზე დაეხედათ,
არ უცდია არავის.
რა იცოდნენ, ვინც ფესვიც
ყველას ისე ათრობდა,
რომ ბუჩქს ფესვზე აძლა ფესვი
და სულს ხდიდა საცოდავს.
— ო, იხარის შენმა ჯიშმა! —
შესძახოდნენ გულწრფელად.
და არავის შეუნიშნავს
ფესვზე
ფესვი — წურბელა.

შალვა შუბლაძე

საბავშვო ბაღში.

ფოტო ვ. გინზგურისა.

კონკურსი გრძელდება

იმის გამო, რომ გაზეთ „ნორჩი ლენინელის" მიერ გამოცხადებული კონკურსი საუკეთესო საბავშვო მოთხრობებზე დაემთხვა გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოცხადებულ კონკურსს, რედაქციაში მრავალი თხოვნა შემოვიდა, რათა კონკურსის ვადა გაგრძელებულ იქნას.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის" სარედაქციო კოლეგიამ და კონკურსის ჟიურიმ განიხილა აღნიშნული საკითხი და გადაწყვიტა: კონკურსი საუკეთესო პატარა საბავშვო მოთხრობაზე გაგრძელებულ იქნას 1965 წლის 1 ოქტომბრამდე.

საკონკურსო მოთხრობების მიღება გრძელდება.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქცია.

ლევან ასათიანისადმი მიძღვნილი გამოფენა

მწერალ ლევან ასათიანის დაბადების 65 წლისთავი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ მოაწყო მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ლევან ასათიანის ნაწარმოებები, ჟურნალ-გაზეთები, სადაც დაბეჭდილია წერილები მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და ფოტო-სურათები.

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"

გერონტი ქიქოძე — რჩეული თხზულებანი. ტომი III. (სამტომეულის უკანასკნელ ტომში შეტანილია: „ერთი და მეორე", „მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" და მოგონებები „განთიადიდან შუადღემდე"). რედაქტორი — შ. ამისულაშვილი, მხატვარი — ელ. გრიგოლია. გვ. 496. ფასი 1 მან. და 50 კაპ.



თეიმურაზ ჯანგულაშვილი — მეოთხედი საუკუნის გადასახედიდან. წიგნში წარმოდგენილია პოეტის მიერ ოცდახუთი წლის მანძილზე დაწერილი ლექსების ნაწილი. კრებულში იბეჭდება აგრეთვე ახალი ლექსები. რედაქტორი — შ. ფირცხიძე, მხატვარი — ა. სარჩიმელიძე. გვ. 136. ფასი 24 კაპ.

ალექსანდრე კალანდაძე — ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. (წიგნში გაშუქებულია გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული ჟურნალისტიკის პროგრესული ტრადიციები. ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა აქვს მიძღვნილი ჟურნალ „კრებულს"). რედაქტორი — ლ. ნანიტაშვილი, მხატვარი — ნ. ხინველი. გვ. 300, ფასი 1 მან. და 21 კაპ.

ოთარ შალამბერიძე — ლექსები. წიგნში შესულია ლირიკული პოემა „ფიქრები ნიკო ფიროსმანზე". რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი, მხატვარი — გ. ქუთათელაძე. გვ. 62, ფასი 14 კაპ.

„ნაკადული"

შოთა ძიძიგური — ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი. რედაქტორი — შ. ფარახვილაძე. გვ. 106. ფასი 31 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. კარელიშვილი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, შ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66419 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10; საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03605.